143
1928
9
3

ᲐᲠᲢᲝᲓᲔᲪᲐᲠᲔᲕᲘ ᲛᲜᲔᲠᲝᲑᲐ

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ:—კიდევ სწავლისა, შემოქმედებისა და ᲗᲐᲕᲘᲗ კრიტიკის შესახებ. **კონს. ლორთქიფანიძე**—ᲛᲣᲮᲘᲡ ტახტი. **ე. პოლუმორდვინოვი**—რკინის ძმები. **Ა. ᲑᲝᲑᲝᲮᲘᲫᲔ**—ბოტანიკურ ბაღში. **ფ. ᲜᲐᲠᲝᲣᲨᲕᲘᲚᲘ**—ᲞᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ (ლექსი მეორე). **Ა. ᲯᲐᲕᲨᲐᲜᲘᲫᲔ**-პირველი ტრაქტორი. **შ. ᲜᲐᲕᲗᲚᲣᲚᲔᲚᲘ**—ბაქოს მიდამო. **შ. ᲛᲐᲜᲐᲒᲐᲫᲔ**—მუშათა ახალგაზრდობის თეატრის ამოცანები. **შ. ᲠᲐᲓᲘᲐᲜᲘ**—კალე ფეოდოსიშვილი. **ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ.**

143/3

42

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

9

ᲡᲐᲮᲔᲠᲒᲐᲛᲘ

1928

წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პროლეტარული მწერლობა

№ 9 (21)
სექტემბერი
1928 წ.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური ორგანო.

ბ. ბუაჩიძის, ი. ვაკელის, ვ. ლუარსამიძის, ა. მაშაშვილის, შ. რადიანის, დ. რონდელის და კ. ფეოდოსიშვილის რედაქციით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ სწავლისა, შემოქმედებისა და თვითკრიტიკის შესახებ

პროლეტარული საზოგადოებრივობა უკვე გარკვევით ამჩნევს და ადასტურებს პროლეტარულ მწერლობის თვალსაჩინო ზრდის ფაქტს. უკვე შეიძლება მხატვრულ მწერლობის ყველა დარგებში მნიშვნელოვან მიღწევებზე მითითება. მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ გვაძლევს ჩვენ საბაბს, წარმოვიდგინოთ თითქოს პროლეტარულ მწერლობას უკვე ყველაფერი აქვს გაკეთებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარული მწერლობის ზრდასთან ერთად ფართოვდება ე. წ. სოციალური დაკვეთა. ამ უკანასკნელის ზრდას კი ხელს უწყობს კულტურული რევოლიუციის ფართედ გაღრმავება. აკმაყოფილებს თუ არა პროლეტარული მწერლობა მშრომელი მასის ამ გაძლიერებულ მოთხოვნილებებს? რასაკვირველია, მნიშვნელოვნად ვერ აკმაყოფილებს. პროლეტარული ლიტერატურის მხატვრული საზრდო ჯერ კიდევ არ არის ნოყიერი და სრული. ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია პროლეტარულ მწერლობას. და ჩვენი მოვალეობაა ყოველგვარი ლიტერატურული თავმოყვარეობის უკუგდებით სავსებით გავითვალისწინოდ ყველა ის ნაკლი, რომელიც გვაქვს. მხოლოდ ამ გზით შევსძლებთ მათ დაძლევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესაც ისევ აქტუალური სახელმძღვანელო დებულებაა პროლეტარულ მწერლობისათვის—**სწავლა შემოქმედება და თვითკრი-**

მივყავდეთ. მიუხედავათ ხანგრძლივი დროისა, რაც ჩვენ ვმუშაობთ თვით-კრიტიკის ხაზით, მაინც ცოტა მიხწევები გვაქვს ამ დარგში. ჩვენი მწერლობის მნიშვნელოვანი ნაწილი აშკარათ ვერ იტანს თვით-კრიტიკას. განსაკუთრებული პრივილეგიების მოთხოვნა, თვით-კრიტიკის მოუთმენლობა, ლიტერატურული ყოყოჩობის ფაქტები — ეს დაუნდობელი ლიტერატურული შეჯიბრის და კრიტიკის სუსხი აუცილებელია ჯანსაღი ზრდისათვის. ამ ხაზით უნდა იქნეს გაღრმავებული მუშაობა.

არავითარი „სხვა" დამსახურებანი არ უშველის მწერლობაში მომუშავე ამხანაგს, თუ ის ამ სფეროში არ იძლევა მხატვრულად გამართლებულ ნაწარმოებს. პროლეტარული მწერლის მიზანია საკუთარ კლასს ემსახუროს მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგიით მის განკარგულებაში მყოფ სპეციფიურ იარაღით—მხატვრული სიტყვით.

აგრეთვე სასტიკი ბრძოლა უნდა გაუწიოთ პროლეტარულ მწერლობაში იშვიათ გამონაკლისების სახით მაგრამ მაინც არსებულ განწყობილებას:—„ყველაზე კარგი კრიტიკოსი ჩემი თავისა მე ვარო". ეს აზნაურული ინდივიდუალიზმის ავადმყოფობაა, რომელსაც ბრძოლა ესაჭიროება.

აი ყველა ის ამოცანები, რომელიც გადაუდებლად სდგას დღეს პროლეტარული ლიტერატურის წინაშე.

მხოლოდ ამ ამოცანების სრული შეგნებით და მის განხორციელებისათვის დაუღალავი მუშაობის წარმოებით, პროლეტარული მწერლობა გახდება პროლეტარული საზოგადოებრივობის მძლავრი პროპაგანდისტი და აგიტატორი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

მუხის ტახტი

მიძღვნა

განთიადისას,
როცა მერძევე
სოლოლაკისკენ მოდის განგაშით;
ნახევრად შესკვნილ ყელსახვევით და
ბოთლით გამოვა ისიც ქუჩაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომესალმება და ხელის გულზე
შეათამაშებს სპილენძის ხურდას,
და სანამ ბოთლში რძეს მიურწყავდენ
ესაუბრება მეზობლებს მუდამ.

აქვს მოძრაობა დაწყნარებული;
ნელი-ნელ,
დინჯად სახე უცინის.
შრომობს და დიდად კმაყოფილია,
რომ შვილი არის რევოლიუციის.

იცით,
რამდენჯერ მინდა მას უთხრა,
— როცა შემთხვევით გვერდით ჩაუვლი—
ო, მაპატიეთ მე თქვენს წინაშე
ჩამიდენია დანაშაული,

— ჩემო ნაცნობო,
მე ვარ ხელობით
ერთი საწყალი ქუჩის დარაჯი:
წუხელ სალამოს,
ჩემს უნებურად
შემოვიხედე თქვენს ფანჯარაში,

— და იქ ნახულმა გამაბედინა,
რომ დამეწერა ჩემი პოემა,
რომ ტახტი, მსგავსი ჩემი ტახტისა,
თურმე შენთანაც მოიპოვება.

— ვფიქრობდი,
იქნებ შენც სულს გიხუთავს
მისი ფუტურო,
ძველი სხეული...
ვინ იცის, რამდენ კაცის ნაწოლი
და მათის ოფლით აწმორებული.

ამიტომ შენთან
რა უნდა მექნეს,

ჩემო ნაცნობო, დასამალავი,
და მოგიძღვენი არაკათ თქმული
ჩემი ცხოვრების ერთი ამბავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შიგ შენსა თავსაც თუ მიაკვლიო,
მწერალს,
ნურც მაშინ გამიჯავრდები;
ნუ მოიგონებ წყევლით იმ ღამეს,
როს დაგრჩენოდა ღიათ ფანჯრები.

რა ხანია
თქვა მამალმა
ცისკარის ქება;
მე კი
იოტის ოდენა
ძილი არ მომდის,
და ჩემს სიფხიზლეს
ცოლივით
ეაშიკება
მუხის ტახტი,
ნაშთი
ჩემი გვარეულობის.
— ხუთ საუნიან
ჩრდილში მზრდიდა
მე წინაპარი,
მრავალთათვის
საშურნელი
ყრმობა მელირსა;
ოცის წლისამ,
ისე მაღლა
შევიგდე მხარი,
რომ დამებრდღვნა
ცივი ქარი
აჯამეთისა.
დამარხია,
ხან გამლუნა,
ხან ფერხთით დამცა;

ტანი ჩემი
        დაამკვრივა,
                  დაავაჟკაცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ჩემს ტახტობას
                  არ ახსოვს,
                  ჩემი საზღვარი
დარბეულიყოს
                  ბალლინჯოს და რწყილის ლაშქარით.

მიფენია ლეიბები
                  ნაკეც-ნაკეცათ,
სასთუმალი,
                  როგორც ქალის ლოყა,
                  თბილი მაქვს...
და არ შესმის,
                  მოსვენება
                  რატომ გაგექცა,

როცა იშვიათ
                  ლირსებით
                  შემკობილი ვარ.
          ვიფშვნეტ თვალებს:
          მეცხადება თუ მეზმანება!
მხარს შევიცვლი.
                  მივეცემი
                  კვლავ ფიქრებს ხარბათ.
რა წამს კითხვა
აწყდება და გამეგზავნება,
ჩემი დამდაგველ
                  პასუხის
                  მოსანახავათ...
რა წამს ტვინი
გამეხსნება და მეჩვენება—
აწეწილი
          გულისთქმანი
                  ჩალაგდენ ისევ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშინ სახეში
უტიფრათ
მომაჩერდება
და გაისმის
სასთუმალზე
ჩურჩული ხისა;
— არ გიხარბებდა
ცასავით
გადაშლილ თვალებს,
სხვათა
მიწა,
ქონება და ბედნიერება.
შენს სიმდიდრეს
ეძახოდი
ჯანიერ მკლავებს,
მოთამაშეს
ორფუთიან,
რკინის გირებთან.
მაგრამ მერე რა?
ძალლონე გაგინადგურეს,
გამოგტყუეს
უცხო ხალხმა,
როგორც ჩარჩებმა,
და როცა მხრებში
სიბერე
დაგიკაკუნებს,
თავ-მისადები
ხის ძირიც
აღარ დაგრჩება.
გეყოფა რაც იწანწალე,
მომეცი ხელი;
აწ ღა მაინც
თითეული
დღე და საათი,
როგორც წუმწუმის
მშრალი
ღერი,
უკანასკნელი,

შემოინახე
საკუთარ
კერიისათვის.
სანამდე გსურს
შენი კუჭი და ნესტოები
შენატროდეს
მეზობლების
სამზარეულოს;
დარჩი ჩემთან,
ოჯახითა და მყუდროებით,
შეგინახავ
წელ-გაწყვეტილ
საგვარეულოს.
მკერდზე
თბილათ
მიმიკრა და გადამიშალა,
დახუთული,
დერეფნებში
ნაგდები ტანი....
და გულითად
სიყვარულის
აღსანიშნავათ,
გააცმაურა
კუთხეში
ღამის ქოთანი.

ვანათებ
ოთახს და ვაყურებ.
დუმილის გარდა,
ჩემმა სმენამ
არ მიიღო
არც ერთი ბგერა...
ალბათ
ბევრი პაპიროსი
ბრუს დამასხამდა
და ეს გული,
ეგზომ მძაფრათ,
მან ამიძგერა.

ყველას სძინავს.
მათი ძილის
შეუხებლობა,
დაცულია
ჩვენს ქუჩაზე
ახმახი ფარნით.
გრძელდება ღამე.
ერთად ერთ თაგის ხელობას,
ავარჯიშებს
სახურავზე სექტემბრის
ქარი
და ჩამძახის:
—წამოდექი,
ჩრდილოეთისკენ
რა ხანია
ომის ლანდმა
გადაიარა...
რამდენიმე ხე,
მოხვედრილი
ქარის
ფრთების ქვეშ
შემხმარ ტოტებს
აჩხარუნებს,
როგორც იარაღს.
დამაზრიალებს.
მზათა ვარ
ხალხს ტყვიებივით,
ჩავაბარო
დღენი
ჩემი ყმაწვილ-კაცობის;
მინდა გაჭრა
ოთახიდან.
ტკბილი სიტყვებით
მელობება და მაჩერებს
ჩემი საწოლი.

. . . . . .

მხრებზე მაწევს
ათასეულ დღეების სისქე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაცობის
ყველა ნიმუში
მარხია შიგნი...
რათ მინდა გრძნობა,
რომელსაც
თითეული დღე
უყვარს,
როგორც გაუჭრელი
ახალი წიგნი!
რათ მინდა ყურმა
სიტყვების
გემო იცოდეს,
ან მათი ფერის
შესწავლა
მე რაღათ მსურდა,
რათ მინდა თვალი,
რომელიც
ხედავს სიცოცხლეს,
როგორც მშვენიერ ფერებით
დახატულ სურათს....
რათ მინდიხართ,
თუ ისევე
ცხოვრების რუქას,
შემიდგენს
სამი
თაობის
ნათრევი ტახტი!
განა მისთვის
ქუთაისში
შვიდი წლის უკან
დავტოვე დედა,
მეზობელი
ეზო და სახლი.....
აჩახჩახდა განთიადი.
რვეულები და
ორიოდე
ჩემი წიგნი
სწრაფად შევკარი;

სისხლო ჩემო,
ათქრიალდი
მეტის ენებითა
და შემინთე,
შემიყენე,
ძუხლებში ქარი.
გამიტაცეთ
სადაც დიდი
ცხოვრება შფოთავს,
აქ უცხო ვარ.
ყველა სახლი
ჩემი მტერია.
ყველა ტახტი
მეჩვენება
მე ეშაფოტათ....
ქუჩა,
ქუჩა,
მოსვენება არ მიწერია.

ქუთაისი,
1928 წელი,
აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიზბარ პოლუმორდვინოვი

რკინის ძმები

I

მღელვარე ხალხის წინ ორატორს სიტყვა ეჭირა.

— ძირს, ძირს, რას ლაპარაკობ!..

— არ გვინდა, არა!..

გაისმა არეული ხმები და ეს ხმები ყიჟინად გადაიქცა.

შემდეგ ქვიტკირის გალავანზე ავარდა ყმაწვილი და ღია სახით გამართა მკლავი.

დუმილი დაეშვა ხალხში. ნიკაბაწეული მიაჩერდა ყველა და ყველანი ხედავდენ ნაკვთებად დაყოფილ სახეს უსიტყვოდაც რომ ლაპარაკობდა.

— დაიშალოს მიტინგი!.. გავარდა ისევ სიტყვა.

— დაიშალოს. მისცა გამოძახილი ზღვა ხალხმა, როგორც ყრუ ხეობამ.

პირველი ორატორი კი სიტყვებში ჩაშრა და დამუშტული მკლავები მოწყვეტილად ჩაიქნია.

— ეს მოგვიწოდებს გადასახადებს, მიწა კი ისევ შეძლებულთ დაუტოვეს. და ყმაწვილმა თითგაშლილი ხელი ორატორისკენ გაიშვირა. გაჰყვა ამ თითს ათასამდე გლეხის ცქერა და მშივრებივით დააცქერდენ მას.

ის კი ისევ შრებოდა. არც ერთი სიტყვა არ გააჩნდა, რომ წარმოეთქვა ამღვრეული ხალხის წინაშე.

— ამ ხრიოკ მთებში არ არის მიწა, რომ პური მოვიყვანოთ, ჩვენ კი გლეხებო, გადასახადით სურთ გაგვატყავონ. არ გვინდა მათი პატრონობა, წავიდეთ... სთქვა ესეც და გადმოხტა ქვიტკირის ღობიდან. შეერია ხალხს და ხალხშიაც გაისმოდა მისი სიტყვები: „წავიდეთ, წავიდეთ“...

აჩოჩქოლდენ გლეხები არ იცოდნენ რა ექნათ. უჩუმრად კი შესცქეროდენ მიმავალ ყმაწვილს.

— ამხანაგებო! გაისმა ისევ ორატორის ხმა, რომელმაც სიტყვა კვლავ დაიბრუნა..

— ამხანაგებო, ამხანაგებო!.. ეს იყო ძახილი და ეს ძახილი გლეხებით სავსე მოედანზე ამაო იყო, რადგან ისინი უკვე აირიენ. ბრაზით ანთებულ სახეებიდან იცქირებოდენ პირქუშად და სტოვებდენ მოედანს.

რამდენიმე წუთიც და ამაღლებულ ადგილიდან ჩამოვიდა ხახაგამშრალი, ის ღრენით უცქერდა გაფანტულ გლეხობას და დაძარღვულ თითებით კი დათენთილ გაზეთს სწიწკნიდა.

— სიტყვით არ გინდათ, ცეცხლით გავიტანთ. წარმოსთქვა ჩუმად და გაჰყვა ქუჩის ვიწრო ბილიკს ქვაფენილივით სუფთად დატკეპნილს.

ყმაწვილმა, მოედანს რომ მოსცილდა გაიხედა ირგვლივ და სუბუქად ამოისუნთქა. პირველი გამარჯვება საკუთარი თვალით დაინახა და ახალ-ახალი ფიქრები ოცნებასავით გადაეშალა გონებაში.

მოუსვენარ ნადირივით იცქირებოდა თვითეული წუთის შემდეგ და ყოველ ფიქრს იწყებდა თავიდან. სახით შავი, მზით დამწვარი და ამ სახეზე ნერვიულ წუთში გადაირბენდა ხოლმე მრავალი ნაოჭი, მაგრამ მხოლოდ გადირბენდა და შემდეგ რჩებოდა ისევ ბრინჯაოს მოწმენდილი ფერი. ცალ წარბზე ჰქონდა ჭრილობა და ეს ჭრილობა სასტიკად იმართებოდა შუბლის შუა გულამდე.

— გური, შეჩერდი!..

მიუახლოვდა შუახნის კაცი.

— ხომ ხედავ გლეხობა ჩვენია. დაუხვედრა გურიმ სიტყვები და გაჰხედა ჭალას, სადაც ლაჯანური მიიკლაკნებოდა.

— თუ ორ დღეში გამოსვლა არ მოხდა ყველაფერი მიწელდება. დაუმატა ისევ გურიმ და უსიტყვოდ მდგომს ტუჩებში ჩაიცქერდა.

გური კი მისი პასუხის მოლოდინში სნეულ წარბს, სნეულივით ამოძრავებდა. მის სახის ნაოჭებში ოფლის წვეთები იბუდებდა.

— გური, იცი რა!...—წელში გაიმართა, თავი მაღლა ასწია და დაღშული ხმით წარმოსთქვა მოსაუბრემ. ბარნაბა ლაილაშისკენ გავგზავნე, მორჩაძე მექვენაში, შენ კიდევ დეხვირისაკენ წადი და ხალხი მოამზადე.

— როდისთვის გელოდო?.,

— მესამე რიჟრაჟისას!.. ორბელის ციხეებში შეკრებილნი დავეშვებით ახალჭალაზე და გადმოვიართ ცაგერისაკენ. დეხვირში დაგვიხვდი.

გურის პასუხი არ გაუცია. უსმენდა ბაგეებჩაკრული და წამწამებ გამართული.

— ფრთხილად იყავი, მეძებრებმა კბილი არ გაგკრან. დაუმატა ისევ შუახნის კაცმა და შემოტრიალდა.

ორივენი სხვადასხვა გზით გაემართენ.

მიდიოდა გური, მაგრამ მიისწრაფვოდა, როგორც გალიიდან გადმომხტარი ვეფხი, მის თვალებს კი გულსაკლავ სურათებად ეშლებოდა დამეწყვრილი ფერდოები, დაშლილი მიწა, ტალახად ქცეული.

დღე კი იხრებოდა საღამოსაკენ და ფითრდებოდა სივრცე, ემსგავსებოდა შორეულ კლდეებს, შორეული კლდეები იძირებოდა ბინდში.

II

როგორც პირწმინდა დანით გადაჭრილი შავი სუდარა, ისე გადისხნა ცა და მიწა ბასრი სხივებით. გამოჩნდა მთები რუხი, პირქუში და ამავ მთებზე ისევე რუხი და პირქუში ღრუბლების დაუსრულებელი ქარავანი. ზოგ ადგილიდან ცამ გადმოიხედა ლურჯი პატარა ნაჭრებით და გამოპარული სხივებით,—მაგრამ მაინც მთლიანად მზის თვალი ჰქონდა, ცა სარკმელი იყო მზის.

ორბელის მთაზე პატარა ქოხი სდგას, ყავრით დაფარული და ლამაზი ბალჩით დამშვენებული. ქოხი იცქირება ძირს, ლაჯანურის

ხევისკენ, სადაც მდინარებს თვით ლაჯანური და სადაც მოსახლეობს სამასი კომლი.

ყოველ დილა ამ ქოხიდან გამოდის მოხუცი გიგა, ხელში უზარმაზარი კომბლით, მოკიდებული ჩიბუხით და წვრილ ბილიკით მიემართება სოფელში, სადაც სალაყბოზე ლაპარაკობს მოცლილ გლეხებთან, ლაპარაკობს სოფლის ჭირ-ვარამზე. მისი ვაჟი კი ხან ყანაშია, ხან ტყეში, ხან წისქვილში და მათი პატარა კერა მუდამ თბილია, მუდამ ცეცხლდანთებული.

მაღლობზეა ქოხი. უწყლობით დამშრალია აქ არე და პატარა ბაღჩას, ნაგვიანებ ყვავილებით რომ მოქარგულია ყოველ დილა რწყავს მოხუცი გიგას ქალიშვილი, და მისი ფიქრი მუდამ თავს ევლება ამ ბაღჩას.

ამ ალიონზეც როგორც ყოველთვის გაიღო კარი და ორი ნათელი თვალი გამოჩნდა მზენაკრავ სახეზე. ჩაირბინა ბაღში და მიუალერსა ნაცნობ ყვავილებს.

მთებიდან კი ნელინელ იწურებოდა ღრუბლები და ჩნდებოდა მწვანე ზედაპირი შორეული მთების და უახლოესი ფერდობების.

ჭახ!.. ჭახ... ჭახ...

გაისმა ზედიზედ სამი გასროლა და თვითეულ მათგანს უძლიერეს გამოძახილად აედევნა მაღლად აზიდული მთების და კლდეების გრგვინვა.

შეკრთა ბაღჩაში ქალიშვილი. წუთით გამელა, მაგრამ მეორე წუთში შეირხა და ისრის უსწრაფეს გაქანდა ბაღჩის მეორე მხრისაკენ, საიდანაც უზარმაზარი ქვაბივით მოსჩანდა ორბელის მიდამოები.

ამავე დროს გაიღო ქოხის კარი და თეთრი წვერები ამოძრავდა გაფითრებული ბაგეების ქვეშ.

— დოდო, აქ მოდი, ტყვიას ერიდე

— რა გეწყინა გიგა. რას ფიქრობ. იქნებ შენ გგონია, რომ მხოლოდ სიკვდილი სპობს ადამიანს. ხომ არ გგონია რომ სიბერე იგივე სიკვდილი არ არის. რა გეწყინა, გიგა, რა გეწყინა, აჯანყება თუ?!.

და დიდხანს, დიდხანს იდგა მარტო, იდგა უსიტყვოთ, გონებაში კი ეშლებოდა ხან ერთი ფიქრი, ხან კი მეორე.

ამდროს ფანჯრიდან გადმოცვივდა გამწარებული სიტყვები:

— წუხელის ბრძანება არ მოსულა. რას გაჩერებულხარ კაცო, ჩადი სოფელში. ამბავი გაიგე.

გამოერკვა გიგა. ამ სიტყვებმა სიხარულის ნაპერწკლებად გაუარეს გულში. გაიმართა წელში, თავიც მაღლა ამართა.

— მას რა ძებნა უნდა, ვაჟკაცია. თავის სიცოცხლეს თვითონ მოუვლის.

— ვაჟკაცი, მაშ, ვაჟკაცი. ხომ იცი რა დროა ძმა-ძმას არ ენდობს, ამხანაგი ამხანაგს. უფრო მშვიდი კილოთი წარმოსთქვა ქალმა, როდესაც ქმრის სახეზე ნუგეში წაიკითხა.

ეროვნული

გადიხსნა მთელი ქოხი. ყველა ფანჯარა გაიღო და მზის სხივ და ცის სინათლე შეიჭრა შიგ.

დოდო ბალჩას დაუბრუნდა. ხელში სარწყავი ეჭირა და მრავალფეროვან ყვავილებს უტკბილეს საზრდოთ ეპკურებოდა დაცრილი წყალი.

ქვევით კი გაიზარდა ჯგუფი. აქა-იქ ბილიკებთან და გადმოწვენილი მთების მახლობლად საფრდებოდენ თითო-ოროლად.

გიგამ მხოლოდ დღეს უღალატა თავის ჩვეულებას. რადგან უკვე დილაა და მას სოფლისკენ არ გაუწევია. დავიწყებული წარსულის მოგონებებმა დააბეს ერთ ადგილას. ბოლოს კი ამ აშლილ ხალხთან მისვლის სურვილი გაელვიძა, თითქოს უცბად სიმხნე იგრძნო. თეთრ ულვაშებს დაძარღვული თითები გააყოლა და შეტრიალდა ჩამავალ ბილიკისაკენ.

უცბად ამავე ბილიკიდან სამი ყმაწვილი ამოვიდა. სამთავეს მხრებზე თოფი ეკიდათ და წელზე მაუზერები.

— ხომ გვხედავ, მამავ, იარაღში ვზივართ. ქვეით კიდევ ათასია ჩვენისთანა. ხვალ შუადღემდე ლეჩხუმში არც ერთი დღევანდელი ხელისუფალი არ იქნება, ეხლა კი ჩვენი ბინა უნდა გამოვიყენოთ ამ საქმისთვის.

გიგა აღტაცებით უცქერდა და სიხარულით უსმენდა შეიარაღებულ ვაჟს. ოცი წლის წინად თვითონ იყო ასე მხნე და თამამი. დღეს კი შვილი ჰყავს სახე მისი ბრწყინავდა. გამოურკვეველი სიხარული ემჩნეოდა თვალებზე. გულში კი იმედივით უგორავდა მოლოდინის სურვილი.

— დოდო, დაბრუნდი. გადასძახა კიდევ:

მაგრამ დოდო უკვე ამ მწვერვალის ნაპირზე იდგა და გადასცქეროდა ფერდობს საიდანაც ოდნავი ხმაურიც ესმოდა.

მერე კი სწრაფად მოტრიალდა, მიირბინა მამასთან და სხაპასხუპით მიაძახა.

— სროლა იყო... მე თვითონ გავიგონე. წამოდი, წამოდი. და დოდო ეწეოდა მამას სახელურიდან რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

— დამაცადე. სულსწრაფი ნუ ხარ. ეუბნებოდა მამა.

ის მიიწევდა ისევ ოთახში შესასვლელად. მას ხელში, არც კომბალი ეჭირა, არც ჩიბუხი და აბა მასთან დაბერებულ ჩვეულებას როგორ ულალატებდა, კომბალის გარეშე სადმე როგორ წავიდოდა. დოდოს ჯერ უკვირდა მამის წინააღმდეგობა, მერე გამოერკვა მიხვდა რაშიც იყო საქმე იმ წუთშივე მოურბენინა ერთიც მეორეც და წაიყოლა თან.

გადიხედა გიგამ და დაინახა ალმტაცი სურათი:

შავი წერტილები (მის თვალებში წერტილებად მოსჩანდა) მოემართებოდენ ბილიკებზე და ორბელის ციხესთან კი მრავალი ასეთივე წერტილი დაჯგუფებულიყო და ხმაური გაჰქონდათ. მცირე ხნის შემდეგ იარაღის ჩხარუნიც მოესმა, რამაც უკვე მთლად ჩასძირა ფიქრებში შორეული მოგონებები აელვარდენ მის გულსა და გონებაში. ეს იყო თხუთმეტი წლის წინად, როდესაც ისიც სწორედ ასეთ აჩოჩქოლებულ ხალხს მოუძღვოდა წინ ციხეში თავის შესაფარავად და ზურგში კი მოჰყვებოდათ აფერადებულ ტანსაცმელში გამოწყობილი დამსჯელი რაზმი.

— უკვე დაიწყო!.. ნახევრად გასაგონად წაილაპარაკა გიგამ და თავის კომბალს მოშვებულად დაეყრდნო.

— რა დაიწყო მამა?. რა დაიწყო?..ცნობისმოყვარედ შეეკითხა დოდო და ღია ცის თვალებს ხან მამას მიანათებდა, ხან კიდევ დანგრეულ ციხის ეზოს.

— აჯანყება. აჯანყება!.. ერთი სიტყვა ორჯერ წარმოსთქვა და დაღუნული თავი სინანულის გამოსახატავად რამდენჯერმე აამოძრავა. შემდეგ კი წელი, უხალისო მოძრაობით მოშორდა ქალს, თავის სახლის ახლოს მწვერვალის ნაპირისაკენ გადიარა, თვალები უაზროდ მიანათა ერთ წერტილს და დიდხანს, დიდხანს იდგა უსიტყვო და გრძნობა ჩამშრალი. საქები. სიამაყის გრძნობამ დაისაკუთრა მისი გონება. უცქეროდა პირდაპირ თვალებში.

— ესენი ჩემი ამხანაგები არიან. ეს მორჩაძეა, ეს სვანიძე. მელაილაშიდან გადმოვედი, ორასი ბიჭი გადმომყვა, ორიათასი ტყვიით. განაგრძო ისევ ბარნაბამ და მოუსვენრად ხან ერთს გადახედავდა, ხან მეორეს.

გიგამ ვერ შესძლო თავის შეკავება. გადაეხვია შვილს და გადაჰკოცნა და მან ამით გადაჰკოცნა მთელი თავისი ახალგაზრდობა. მთელი თავისი წარსული, ყოფილი საამაყო მოგონება, რომლებმაც თვალწინ გადაურბინეს.

ღამეა.

ადამიანის ჩონჩხებივით იცქირებიან ჩამონგრეული კლდეები. თითქოს მნათობები სიბნელეში გახვეულან და დამდნარან საკუთარ სინათლეში.

ღამეა. ბნელა.

როგორც აჩრდილები ისე მოსჩანან კლდეებს შორის ჩასაფრებული ადამიანები.

კლდეს მოსწყდება ქვა და ქვას გააქვს ყრუ და საზარი გამოძახილი; როგორც უფსკრულში ჩავარდნილი მსხვერპლის.

ბნელა და სიბნელეში ანათებს მხოლოდ ანაპერწკლებული თვალები ცეცხლითა და მხურვალებით სავსე.

გაისმა ხანგრძლივი და მოდუნდუნე სტვენა.

როგორც შემკრთალი ნადირები ამოცვივდენ ნაბიჯები, წინ კი მოუძღვოდათ ანაპერწკლებული თვალები.

ციხის ჩამონგრეული კედლები იცქირება მუნჯად, ის შუადამ ქვითკირის მკერდი ყოფილა მებრძოლთა, დღეს კი მოწამეა მხოლოდ.

ჩოჩქოლით შეიკრიბნენ. ამღვრეული თვალები დარბოდენ სახეებზე და კითხვის ნიშნებად აშტერდებოდნენ.

მოხსენით გუშაგები, გაისმა ჩამშრალი, რკინასავით ჟანგიანი ხმა.

— ყველანი ხართ?.. განმეორდა იგივე ხმა და ორმა მკვეთრმა თვალმა გადაირბინა შეგროვილთა სახეებზე.

დუდუნებდა ხალხი. სიბნელეში ერთმანეთს ვერ არჩევდენ. ხიშტები ხვდებოდა ხიშტებს, კონდახი კონდახს, იდგა ყრუ ხმაური.

— მივდივართ?.. მივდივართ?.. ისმოდა აქა - იქ კითხვები და ამომშრალ ბაგეებს აშრობდა გამომხმარი ნერწყვი.

ანთებულმა ჭრაქმა მოლაპარაკის სახე გაანათა. გამოიხატა მთელი სხეული და ყველა ხედავდა ულიმილო სახეს, დაძარღვულს და დაულლელს.

შეგროვილთა გულის წყრომა ხანგრძლივმა დრტვინვამ გამოჰხატა. გადმოცვივდა რამდენიმე გულჩათხრობილი სიტყვა და ჰაერში აიმართა ხელგაშლილი მკლავები.

იარაღი მოიმარჯვეთ. ეხლავე დავიძრებით ცაგერისაკენ. განთიადისას ლეჩხუმი ხელში უნდა ჩავიგდოთ.

— ყველა სმენად გადაიქცა.

ბარნაბა, ათი კაცი წაიყვა. წინ გაგვიძეხი. ზურგში გეგულებოდეს ეს ძალა. განაგრძო ისევ მაღლობზე მდგომმა და მკლავი გამართა აჯანყებულებისაკენ.

ბარნაბას პასუხი არ გაუცია. ეზოს ნაპირისაკენ გაემართა, თოფი კედელს მიაყუდა, წელზე ღვედის სიმტკიცე გაისინჯა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი უკვე ისმოდა სხვადასხვა სიტყვები.

— წამოხვალ ჩემთან?

— რატომაც არა.

— მეც წამიყვანე.

— კარგი.

— ათნი ხართ?!

— სრული. უპასუხეს და ათმა ვაჟკაცმა უშიშარი მკერდები ერთმანეთს დაუკავშირა.

— წამალს გაუფრთხილდით, მაგრამ მოღალატისათვის ტყვიას ნუ დაინანებთ.

— მოღალატეს ჩვენში რა უნდა. წარმოსთქვა რამდენიმემ და ყველა ერთმანეთს დააცქერდა, თითქოს ეძებდენ ვისმეს.

წუთიც და მაღლობზე მდგომი გადმოხტა. ეს იყო მორჩაძე. მან მარჯვენა ხელში თოფი მოიმარჯვა და ციხიდან გამოვიდა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ბილიკით დასერილ ფერდობზე გამოულევათ მიდიოდენ ადამიანები. უძილობით გამომწვარ თვალებს აფაციცებდენ სხარტად და შიშით, და დაჟინებით აშტერდებოდენ სიბნელეში შავად გამომცქირალ ბუჩქებს, ზურგმოტეხილ ხეებს. ისინი მათში გრძნობდენ ყველაფერს ხეებისა და ბუჩქების გარდა, გრძნობდენ ჩასაფრებულ მოწინააღმდეგეებს, მტრებს.

ამღვრეულ ღრუბლებს შორის კიაფობდა მბჟუტავი ვარსკვლავები და დაბურულ ცას ღიმილსა ჰგვრიდა.

ცა სარკე რომ ყოფილიყო გადაიხატებოდა ეს დენის მღელვარება, ეს მღელვარების დენა.

დაბლობს მოუახლოვდენ და აქამდე რამდენიმე ზოლად გადაჭიმული ხალხი ეხლა გადიშალა ერთ მთლიან, მოუსვენარ ტალღად, რომელიც სულ წინ მიიწევდა და იშლებოდა, ფართოვდებოდა.

ისინი აღარაფერს არ ერიდებოდენ. არც შიში, არც მორიდება, ყოველგვარი გრძნობა მოქმედებაში ანგარიშის გაწევისა თავიდან მოიცილეს და მხოლოდ იმას გრძნობდენ რომ უნდა გადაემსხვრიათ ყოველი ჯებირი, რომელიც კი წინ დაუხვდებოდათ. ისინი ნატრობდენ კიდეც ამ ჯებირებს, რომ უზომოთ დაგროვილი ძალა გადმოენთხიათ.

აი, ორბელიც.

რამდენიმე ციხე პირქუშად მდგარი კლდოვან წვეროებზე გადმოსცქერის სოფელს და სოფელი კი არსებული მხოლოდ რამოდენიმე ჭრაქით სთვლემს, მყუდროობს.

აქ ლაჯანური მოჩხრიალებს, ზედ გადამდგარი ხიდი მოსჩანს გრძელ, უძრავ ბალდახინივით და ლაჯანური ეხმატკბილება ჭალებს, ქვებით ავსებულ ნაპირებს.

ხიდზე შესდგა თერთმეტი ვაქკაცი.

თერთმეტის ზურგში ასი ამისთანა თერთმეტი მოდის / მხნედ, გულადად, დაუზოგველად.

ბარნაბამ თოფი მხარზე მოიდო. თვალთახედვის ხაზი გააყოლა რკინის სიგრძეს და იგივე თვალი აბრწყინვალდა სიბნელეში გასხლეტილ ტყვიასთან ერთად.

ბიბლიოთეკა

თოფმა ჭახანი გაიღო.

ბარნაბა უცბად შეტრიალდა დანარჩენი ათისკენ. ხელის ნერვიული ამოძრავებით თოფები ძირს დააშვებინა და წარმოსთქვა:

— ეყოფა ერთი. გაიგოს ორბელმა რომ მოვდივართ. და ბარნაბას მხარ-და-მხარ გაჰყვენ ყველანი.

განვლო წუთმა და აქა-იქ ქოხებიდან მოქანავე სინათლეებით გამოჩნდენ ქალები და ვაჟები, მათ არც ეცვათ, არც ეხურათ. ტიტველნი, ფეხშიშველნი გამოდიოდენ გარეთ და ერთმანეთს ეკითხებოდენ.

— რა მოხდა, რათ გაისროლეს?..

ამავე დროს უზარმაზარი ტალღა უკვე მოუახლოვდა ხიდს. მათი ხმაური, მათი ყიჟინა მოედო მიდამოს.

ბარნაბას ათეულს შემოეხვივნენ გლეხები, უწესრიგოთ ეკითხებიან—რაშია საქმე?.. და ძილიდან დამფრთხალნი იფშვნეტენ თვალებს, იქექავენ ჩამოფხრეწილ ნიფხავ-პერანგს, ზოგი მათგანი დედის სულს იგინება და მუშტების დამუქრებით მირბის ქოხისაკენ, იქ, სადაც ჩამონგრეულ ჭერიდან ჩადის წვიმაც, თოვლიც და ჩამტვრეულ ფანჯრებში ნავარდობს ნიავ-ქარი, მორბის რომ მოსძებნოს ძველი მეგობარი, რკინის მეგობარი.

შემოვარდა ტალღა ორბელში.

მორჩაძე წინ გადუდგა ბარნაბას. ორივე ხელი საყელოზე ჩამოკიდა და სიტყვა გამართა.

— ახალჭალელებო!..

სიბნელეში ჩაძირული მთები მძიმე ფიქრებიდან გამოერკვიენ, მუშებმაც დაიძახეს „ახალჭალელებო“ და ისევე დადუმდენ.

— ჩვენ არ გვინდა ეს მთავრობა... ხომ გვხედავთ ვინა ვართ ჩვენ?..—განაგრძო და ხელები ხალხისაკენ გამართა. ხელებს თან გააყოლა თვალები, მთელი სხეული, გული.

— ჩვენც თქვენი ძმები ვართ. თავსლაფი დაგვესხას თუ ჩამოგრჩეთ. შეაწყვეტინეს სიტყვა მორჩაძეს. მან ვერ სთქვა არ ნდომის მიზეზი.

და რამდენიმე წუთს ტალღა მოვარდნილი და ტალღა დახვედრილი ერთმანეთში ირეოდა, შხუოდა.

— განთიადამდე ცაგერში ავალთ, ცაგერი ჩვენია. განაგრძო მორჩაძემ და მორჩაძე შემოტრიალდა. ის არც კი მოსჩანდა, ნაცვლად მოსჩანდა მისი ხმა, რომელიც ფარავდა გარემოს.

და უცბათ მღელვარება მოედო სოფელს და უცბათ სოფელი წამოიშალა.

გამოდიან ქოხებიდან კეტებით, ხმლებით, კაჟიანი და სანადირო თოფებით. აქა-იქ გაისმის შემთხვევით თუ სასინჯოთ გასროლილი თოფის ხმა და ეს ხმები შერეული უამრავი ხალხის სუნთქვა ერიამულში ჰქმნიან უზომო წყურვილს, ჟინს, წადილს.

შებრუნდა ბრბო, ბრბო მიადგა მაღლობს და ამ უამრავმა ნაბიჯმა უნდა გადასჭრას მთა, გადალახოს მწვერვალი.

მიდიან ისევე შეუჩერებლივ. გზაში ხვდებათ ჩამონგრეული ბილიკები, მუხლებამდე ტალახი, ახლად მოსული წვიმისაგან დამეწყვრილი ფერდოები და ბუჩქები ეკლებითა და გამხმარი ყლორტებით სავსე. მაგრამ მაინც მიდიან. აღმართი მისწრაფებას ვერ აკავებს. ამ ათასი ადამიანის გული სცემს ერთ გულად და ეს ერთი გული ერთი სიძლიერის, ერთი ლონის, ერთი უნარისაა.

კიდევ სოფელი.

ეს ლიცორიაა, აქაც გავარდა თოფი. აქაც წამოიშალა გლეხობა. წამოიშალა ყველა ვისაც კი ხმაურში ძილი არ შეუძლია და გარეთ გამორბიან, ისინი ისევე, როგორც ორბელში, ტიტვლებია, თვალებ-ნაფშვნეტნი, მაგრამ მაინც გარეთ არიან.

— აჯანყებაა, აჯანყება. გასძახის მორჩაძე და მსხვილ დამუშტულ მკლავებს სწევს საკუთარი თავის ზევით, რომ იქნებ როგორმე გამოჩნდეს ტან-დაბალი კაცი ამ ზღვა ხალხში.

მისი ძახილი სწვდებოდა ყველას და იწვევდა უზომო ყიჟინას:

— მოვდივართ, მოვდივართ.

მერე მირბიან ბინებისაკენ. როგორ უხარიათ მათ, რომ ძლივს დამალულ იარაღს გამოაჩენენ, კვლავ ხელში დაიკავებენ, კვლავ მოიხმარებენ.

ახალი ჩანჩქერი მოემატა, ახალი წყალვარდნილი და ადამიანთა მდინარე სულ იზრდებოდა ყოველ სოფელში შესვლასთან ერთად.

წვერო გადაიარეს. გადაუხვიეს მარცხნივ. დაეშვენ დეხვირისაკენ. დეხვირი მაღლობიდან უკვე მოსჩანდა. დეხვირი ფეხზე იდგა, დეხვირს არ ეძინა. ანათებდა მას კვრები და ჩირაღდნები, კვრები და ჩირაღდნები ძილს არ აძლევდა სოფელს, ძაღლებს, საქონელს.

გადმოდიოდენ მთიდან მოზვავებული ადამიანები და ფეხვირში შეჩერდენ. აქ დახვდენ ასამდე შეიარაღებულნი. ისინი სულით და გულით მოელოდენ ერთი გრძნობით, ერთი სულისკვეთებით გაქცეულ ადამიანებს და აღტაცებით შეუერთდენ მათ.

ცა კი თეთრდებოდა. სიბნელე მკრთალი სინათლის მსხვერპლად ეცემოდა და წვებოდა სადღაც მთებისა და მწვერვალების იქით.

ამ ბურუსიან რიჟრაჟზე გამოჩნდა მათი სახეები და სჩანდა, რომ მათ თვალებში ღამით დანთებული ცეცხლი განთიადზედაც ისევ ბრწყინავდა, როგორც სიბნელეში.

— ხომ მტკიცედა ვართ!.. ღობეზე შემდგარ მორჩაძემ წარმოსთქვა ჩახრინწული მაგრამ დაბეჯითებული ხმით და ორივე ხელი თოფის ლულას შემოჭხვია.

— წავიდეთ, წავიდეთ!.. წამოიძახა ხმებმა და ისევ ამოძრავდენ, ისევ ამდინარდენ.

აი, ცხენისწყალი, ჩქარი. გულშავი და თავშეუკავებელი. სვანეთის მთებში მოწყვეტილ ხეებს და მონატაც ტივებს მოაქანებს ხოლმე ცხენისწყალი და ახეთქებს კლდის ნატეხებით ავსებულ თავის ნაპირებს.

ცხენის წყალზე ბორანია გაყვანილი და ამ რიჟრაჟისას ნაპირზე დაბმული ეს ბორანი ჩუმად ეჩხუბებოდა ამ თავშეუკავებელ მდინარეს.

ერთი გასროლა და ბორანის პატრონი ზეზე წამოხტა. განცვიფრებული აქეთ-იქით იხედებოდა, თვალებსაც კი არ უჯერებდა ნანახ სურათში.

— ამხანაგო, გამოდი და გაგვიყვანე:—გადასძახა ბარნაბამ. ბარნაბას სიტყვებს აედევნა კიდევ ათასი ასეთი სიტყვა და ისინი, ეს ხალხნი ამოძრავებდენ ხელებს, ტანს, თვალებს, იარაღს.

მოხსნა ბორანი. მოუსვა მარჯვედ ნიჩაბი და გამოცდა ნაპირს, თუმცა ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო, ვერ მიმხვდარიყო თუ რაში იყო საქმე.

— აჯანყებულნი!.. წაიბუტბუტა და სახეზე სიხარული გადაიტანა მოხუც მენავემ.

მას ახარებდა ყოველი ახალი ამბავი, ახალი მოვლენა, რომელიც კი მის მყუდრო ერთფეროვან ცხოვრებას შესცვლიდა. მან გრძელ შეთეთრებულ ულვაშებზე ბრტყლად გადისვა ორივე ხელის გული და მოღიმარი თვალებით მიმართა:

— თითო ჯერზე ოცდაათ კაცს გადავიყვან.

ამ სიტყვებს ხელებითაც უხსნიდა, მაგრამ ხალხს ახსნა არ სჭირდებოდა. იფეთქა ადამიანთა ტალღამ როგორც ერთმა მოვარდნამ და ბორანზე მოექცენ, რამდენიც კი დაეტეოდენ.

გადაცურდა ბორანი ერთხელ, მეორეჯერ, იტვირთებოდა ერთი ნაპირი მეორე ნაპირისაგან და დატვირთული ნაპირი ეძლეოდა ღელვასა და გმინვას.

— ორი კაცი ერობის თავმჯდომარის მოსაყვანად. დაიძახა მორჩაძემ.

— აქა ვართ!.. თითქმის ერთდროულად წარმოსთქვეს გურიმ და ბარნაბამ.

— მოიყვანეთ აქ, აი ამათ წინაშე დაუმატა მანვე და მაღლობიდან ჩაიხედა შიგ, ამ ხალხში მორევივით ამღვრეულში და დაუწყნარებელში.

შორს სადღაც კი მზის წითელ სხივებზე იგლიჯებოდა გაფერმკრთალებული ღრუბლები და მთელი შუქი, მთელი სინათლე მზისა და დილის იფრქვეოდა ამ უამრავ სახეებზეო შეშფოთებულ სახეებზე.

მიდის ბარნაბა და გური. ბარნაბას და გურის მკერდები ღელავენ, თრთიან. მათ ენდა გადასცენ ათასის ზრახვა, ათასის სურვილი, ათასის ნება და უხარიათ რომ ათასებს ეკუთვნიან, ათასების ძმები არიან.

დარჩენილნი კი ლოდინად გადიქცენ. თვითეული მათგანი ზვირთი იყო, საკუთარი ღელვით, საკუთარი ბუზღუნით შერეულნი მთლიან ბობოქრობაში. მათი ლოდინი ღელვა იყო, მათი ღელვა ლოდინი.

აივანზე გამოჩნდა ერობის თავმჯდომარე. წინათგრძნობამ ძილი დაუფრთხო. გაუგონია მასაც ღამით გასროლილი თოფის ხმა, ტყვიების ზუილი.

— რა გინდათ??. როგორ თუ!.. ეკითხება და სტუქსავს ის გამოგზავნილებს.

მათ კი, ბარნაბას და გურის გულს რა გაუტეხს, ხასიათს რა შეუცვლის. მან იცის რომ იქ, მდინარესთან რკინის ძმები ტყესავით შრიალებენ, ტყესავით მღელვარებენ როგორც ქარიშხლიან ავდარში.

იცის რომ რკინის ძმები ელიან და რკინასავით მტკიცედ უხვდება მას.

— სიტყვისათვის დრო არ გვაქვს, გესმით?.. უპასუხებს ის.

გური კი მაჯაში ხელს სჭიდებს თავით ფეხებამდე შეიარაღებულ მაზრის ბელადს და ეუბნება:

— მოდით აქ, ამ ადგილიდან კარგად სჩანს. ჩვენ ის ხალხი ვართ იქ რომ დგანან. მაზრა ჩაგვაბარეთ.

ხელისუფალნი სმენად გადიქცენ.

შეკრთენ ორივენი.

წუთის შემდეგ ერთმაც და მეორემაც ეშმაკურად გაიღიმა.

— რაც გაწუხებთ ისა სთქვით, მოვაგვარებთ.

— მაშ, გვითხარით და აგისრულებთ.

თითქოს ამით შესძლეს მდგომარეობიდან გამოსვლა.

— წამოგვყევით, იქ გავარჩიოთ, — და ერთმაც და მეორემაც ხელი გაიშვირეს იქით, იმ ხალხისკენ, ძმებისკენ, ამხანაგებისკენ.

სამი შეიარაღებული წაიყვანეს თან.

რამდენიმე წუთის შემდეგ ეს ორი კაცი წარსდგა მსჯავრის წინაშე, სამსჯავრო გლეხობა იყო.

— დაიშალენით, რამ აგაღელვათ!.. დაიწყო მჭერმეტყველმა ერობის თავმჯდომარემ.

ყიჟინამ ჩაჰკლა მისი ხმა. მერე გადმოხტა მორჩაძე. აქამდე ის არც კი სჩანდა.

— ჩაგვაბარეთ მაზრა. დაჰყარეთ იარაღი. აი, რა გვინდა;— შესძახა მრისხანედ.

— ეს შეუძლებელია!.. ძლივს წარმოსთქვეს მათაც პასუხი.

— მაშ იარაღი აჰყარეთ და წამოიყვანეთ თან. უბრძანა ხალხს და წუთში ყველანი შემოესიენ.

— თქვენ?! მიმართა გამოყოლილ მილიციელებს. ჩვენთან ხართ?..

— თუ მიგვიღებთ, უპასუხეს აღტაცებით და ისინიც შეუერთდენ მათ.

მორჩაძემ გადადგა ნაბიჯი და ისევე დაიძრა ხალხი. ის დაუღალავი იყო სიარულში, მოძრაობაში და სიხარულით მიიწევდა წინ.

შევიდენ ცაგერში.

ცაგერი აიღეს.

აჯანყებულნი მოედენ გარემოს.

გამოვიდა პირველი მოწოდება; ხელს აწერენ:

ლეჩხუმის რევკომის თავმჯდომარე სვანიძე.

სამხედრო—რევოლიუციონური შტაბის უფროსი მორჩაძე.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალე ბოგოხიძე

ბოტანიკურ ბაღში

მე აქ მოვედი არ ვიცი როდის
მხოლოდ ბრძოლების სიმძაფრე მახსოვს,
გულზე მაწვება სიმშვიდის ლოდი
როს გრიგალები არ არის ახლოს.
მწვანე ნაძვნარი მეშლება თვალწინ,
მას გალავანი არტყია ირგვლივ,
ეხლა ბალახებს შადრევნით აწვიმს
და იშლებიან ყვავილთა რიგი.
რომ დანაშაულს არავინ არ გრძნობს
მე ჩუმათ ვიტან მოწოლილ სირცხვილს
აქ ასვენებენ მკერდს მტერთან ნაბრძოლს
ბრძოლის ველებზე დადაგულს სიცხით.
მიზნათ არ ჰქონდა არც ერთ მებრძოლს
ჩაკეტილიყო ჩარჩოთა შორის,
და... აქ დარჩენა კიდეც რომ შევძლო
რას გავაკეთებ უმიზნო შრომით?!
აქ ჰაერია გრილი და სუფთა
ეს სურნელება მსურველებს ათრობს,
იქ გაუშლიათ მაღლობზე სუფრა
და ეწევიან ამგვარ გართობას...
აქ სასეირნოთ ბევრი მოდიან
მე კი გაშლილ ველს გავიდე ვნატრობ,

ყველანი იცდის, მაგრამ ლოდინი
აღარ მასვენებს ნეტავი რატომ?
აქ განცხრომისთვის ეძებენ ჩრდილებს
ვნებით დათრობაც არავის რცხვენის,
და ბაღის გარეთ წითელ ყაზარმებს
ხეზე უბია სამხედრო ცხენი.
გარკვევით ვიცი, რომ ცხენი არ ვარ
დავემორჩილო პატრონის სურვილს
მე ამ ზღუდეებს გავარღვევ, გავალ
რომ მეამბოხის ვატარო წყლული.
და გული მეტყვის მებრძოლს რა დაღლის
მიზანს მიაღწევ არ არის გვიან
როცა აქა ვარ და ბაღის გაღმა
ვისმენ სამხედრო მუსიკის გრიალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიდონ ნარუშვილი

უოფაცხოვრება საბჭოთა სოფელში

ლექსი მეორე

მოხუცი ძალლი

კარგათა ხედავ მძიმე შრომითა
ვცხოვრობ, უკან არ დამიხევია,
ყური დამიგდე,—ესე ამბავი
ჯერ არავისთვის გამიმხელია.
სოფელმა იცის, მაგრამ მიზეზი
ბნელ მოქმედების არ მსურს გაიგონ,
მაინც მოვედი, შენგან მივიღო
ერთგვარი რჩევა და დარიგება.

ამა სოფელში ცხოვრობს თავადი,
ვისაც დოვლათი ქონდა უხვადა,
განსაკუთრებით მე არ დამინდო.
მიმტრო და ვფიქრობ გადაუხადო.
მას რა გონია, ვითომ გაუა,
ჩემში გლახაკი თუ ეგულება?
არ ახსოვს ძველი: ყავდა ბაბუა—
ამბობენ ლექსად მაზე თქმულებას:
იყო ბოროტი, იყო ორგული,
მაგრამ ბოლომდე არ შერგებია:
შუა ხიდიდან ტყვიით მოკლული
წყალში ჩააგდეს ბეჟა დგებია.
ასე მოელის ალერწილ თავადს—
ვინც მე ამზომად გამანადგურა—
მისმა ცოლმა კი ინანოს თავად,
ან მოწყალება სოფლად აგროვოს.
საქმე შემდეგში არის ძმობილო:
მეკითხებოდენ ვინ ქნა, ვინაო...
ეხლა სოფელში არის ცნობილი
მე, რომ სრულებით ვარ უბინაო.
მეულლის ავად გახდომის გამო
დავტოვე სახლი, წაველ უგულოთ,
აგარაკიდან დაბრუნებისას
ოჯახი დამხვდა გადაბუგული.
გულღვარძლიანი, შემხვდა დგებია,
თითქოს წუხილით მისამძიმარა:
იყოს ღვთისაგან ამოგდებული
და შავი მიწა ქონდეს სამარად...
შემდაგ დაცინვით მითხრა მრავლჯერ:
იმართებოდი კაცი წელზეო,
ვინ გაგიბედა სახლის გადაწვა
კაცს ღარიბსა და საბჭოს წევრსაო.
ძველად კი იყო ჩემზე გამწყრალი
და მიყურებდა მენა ზეიდან,
უეცრად მოლბა როგორც საწყალი
და ცხენოსანი, ჩამოქვეითდა...
ამა წლის წინეთ საბჭოს სხდომაზე
თავადის საქმე, რომ ირჩეოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მოვითხოვე, ამ კაცს სასახლე
მიწა-წყლიანად ჩამორთმეოდა.
მისი მუქარა შორით მესმოდა,
მაგრამ გულის ყურს არ ეძლეოდა:
ჩვენ დავადგინეთ უმრავლესობამ—
თავადს სასახლე ჩამორთმეოდა.
ძველ მებატონეს ვინ უშველიდა,
რას დაუთმობდით, რასა ვარგებდით,
იგი მჭვარტლიან ქოხში შევიდა,
მისი სასახლე თემს ვასარგებლეთ.
ამიტომ იყო განსაკუთრებით
მე ეზო-კარი გადამიბუგა...
არავინ იცის რატომ უთმენდი,
ან გულში ბოღმა რისთვის მიგუბავს...
უცდი შვალამეს, რომ ნაღვერდალი
დაძინებულთა ქოხს წავაყარო—
ამდენხანს ცეცხლის ალმა მაწვალა—
მისი ოჯახის გადასაწვავად...
შენ როგორ მირჩევ?—რათ დავწვათ სახლი.
ისიც ხომ შრომით ანაგებია,
ვამცნოთ ქვეყანას მოხუცი ძაღლი—
ბოროტმომქმედი მიხა დგებია.

ს. ჯავშანიძე

პირველი ტრაქტორი *)

ტრაქტორის მეხანიკს ბინა სჭირდება. კოლექტივის წევრთა ოჯახებში ვერ აღმოაჩინეს შესაფერი ოთახი.

მწვანეთ შეღებილ თაყას სახლში მოთავსდა მეხანიკი.

გლეხებს არ ესიამოვნათ მისი თაყას სახლში დადგომა, მაგრამ რა ექნათ თუკი მათ ღარიბ ოჯახებში არ მოიძებნებოდა ოთახი.

სოფელში ხვნა-თესვის დრო გადადიოდა. სახნისის შემჩერე გლეხები ყოველდღე მიდიოდენ ხარ-ულლით ყანებში, მაგრამ პირ-დამუწულ მიწას უძლური სახნისით მკერდს ვერ უხსნიდენ და გალე-სილი რკინის წვერი გატკეცილ მიწაზე დაფხოკიალობდა.

*) დასაწყისი იხილეთ „პროლ. მწერლობის“ № 5—6.

კოლექტივის წევრებმა დახნეს დასთესეს მათი გაერთიანებული ყანები და ტრაქტორით იერიში მიიტანეს მიტოვებულ არხზე.

ტრაქტორის მუშაობის ხალისით ფეხზე დადგა მთელი სოფლის გლეხობა და გააჩაღეს ენერგიული მუშაობა.

ამ დროს სოფლის მართლმორწმუნე კულაკები, მღვდელთან ერთად ხალხში კვლავ გაიძახოდენ, რომ არხში წყალი არ წამოვიაო.

ურჩევდენ ზოგიერთ უვიც გლეხებს მღვდლისათვის დაეჯერებიათ და გვალვის მიზეზი ხატით და ჯვარით ეძებნათ დაშრეტილ ღელეებში.

გასჭრა გლეხების ერთ სულოვანმა მუშაობამ და ტრაქტორის ბასრმა კბილებმა.

არხი მალე იქნა დამთავრებული. გახსნის დღეს დაესწრო ურიცხვი ხალხი მთავრობის წარმომადგენლის და ადგილობრივ ამხანაგების სიტყვების შემდეგ გააღეს არხის კარები და გრიალით წავიდა წყალი გათხრილში. ისმოდა ხანგრძლივი ტაში და ვაშას ძახილი.

ცრუ მორწმუნეებმა დაკიდეს გაშავებული სახეები ძირს და სმენას იკეტავდენ, რომ არ გაეგონათ წყლის ჩანჩქერის ხმა.

მოირწყო მიწები! გალაღდა წყლით სოფლები! მოკვდა შიში გვალვის!

დალურჯდა ჩაყვითლებული ყანები.

დარწყულდა მინდვრებში საქონელი.

ედიშერი სოფელში თითით საჩვენებელი კაცი შეიქნა.

ყველა გლეხის ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა მას შესცქეროდენ მღიმარე სახით და მასაში ეძებდენ გაჭირვების დროს დახმარებას.

ედიშერმა გარდა კოლმეურნეობის საქმეში მუშაობისა განათლების საქმესაც ჩაჭიდა ხელი და თავი მოუყარა საკლუბო მუშაობაში გლეხ ახალგაზრდობას, გააჩაღა კულტურულ ფრონტზედაც მუშაობა.

მისმა შეუსვენებელმა შრომამ საგრძნობი გავლენა იქონია სოფლად. კოლექტივის ყოველ გლეხს ქონდა გამოწერილი გაზ, „ახალი სოფელი“ და საღამოს ადრე შრომიდგან განთავისუფლებულები ეზოს ჩრდილში ხელ-პირდაბანილები კითხულობდენ მას.

ამ ამბავმა დიდად შეაშფოთა და ააწრიალა კულაკები და ისინი დაეძებდენ სოფლის ღრუებში და სძებნიდენ ხერხებს მშრომელი გლეხობის კეთილდღეობის გზის შესაბორკათ.

—

— რაო ჩემზე რას ამბობს ედიშერი?

— არაფერს შვილო! სწუხს, რომ მასეთ მდგომარეობაში ხარ.

— უგნური ბავში! როგორ გარდაქმნეს! უთხარი ფრთხილათ იყოს, რომ შემდეგში ბევრი ჭუჭყი არ გაყვეს!

— კი დედა თვითონაც ძალიან შემბრალებელია ლარიბ ხალხის!..

— თაყას აწყენია, მაგრამ იგი არ აყვება ბრიყვის ჭკუას!

ასეთი საუბარში იყვენ იონა ფერხულიძე და დედა აღათი, ტყის ბოლოზე ღამის წყვდიადში.

დილას ედიშერმა დედას შეეკითხა მისი დავალების შესახებ.

ზოგი ტყუილი მართალს სჯობიაო გაგონილი ქონდა, აღათის.

შვილებს შორის, რომ არ გაემწვავებია მდგომარეობა და ძმები მტრათ არ გადაჰკიდებოდენ ერთმანეთს, ამისათვის აქით-იქით მიქონდ-მოქონდა მოგონილი ამბები.

ედიშერს შეკითხვაზე უპასუხა, რომ იონა დიდი ხანია რაც წავიდა ამ სოფლიდან! ამ გარემოებამ ედიშერი დააწყნარა, რადგან მას არ უნდოდა შეხვედროდა ძმას სამკვდრო-სასიცოცხლო ფრონტზე.

— მასპინძელო!.—გაისმა საღამოს ჟამს ფერხულიძის ჭიშკართან.

— მასპინძელო! — ისმის მეორეთ იგივე ხმა.

— ვინ ბრძანდებით?—ღია კარებიდგან დაიძახა აღათიმ, რომელსაც შუბლზე ხელი ქონდა მიფარებული და თვალებს ათამაშებდა ბნელაში, რომ გაერჩია სტუმარი.

— ჩვენ გახლავართ გვნახეთ ერთი.

— ეჰ, კაცო გახედე ვინცხა უცხოა!—უთხრა იქვე მჯდომ მექის აღათიმ და მიყრილ-მოყრილ ბარგს დაუწყო სწორება.

— საღამომშვიდობის!—გაისმა ჭიშკართან ისევ უცხო ხმა.

ღმერთმა გაცოცხლოთ!—გასცა დაბალი ხმით მექიმ პასუხი და მიადგა ჭიშკარს.

— უკაცრავად ვერ გიცანით ღამეში, მობრძანდით ეზოში!— მოასწრო სტუმრებს მექიმ და ხელი წაიღო ჭისკრის თავზე ჩამოცმულ მორგვალებულ ღვლერეზე.

— ჩვენ გახლავართ მეზობელ სოფლიდგან. თქვენი ვაჟი თუ ბრძანდება შინ?

არ, გახლავთ მობრძანდით გიახლებათ.—უპასუხა მექიმ და სტუმრები მიიღო.

— უკაცრავად კი ვარ, მიულაგებელ სახლში გეპატიჟებით მაგრამ ნუ დამძრახავთ... მოიბოდიშა აღათიმ.

— რავა გეკადრებათ ბატონო!—იყო სტუმრების მორიდებული ხმა.

— ასთე აგვიანებს თქვენი ვაჟი ბატონო!—ჩახველების შემდეგ გაწმენდილი ხმით სთქვა სტუმართაგანმა.

— უი შენი ჭირიმე!—

სადილი არაა მისთვის და ვახშამი, უყურებთ და როიცხა მოვარდება უდროოდროს წეიჭამს რაცხა პეტერას და გეიქცევა!—გაწუმარტა სტუმრებს აღათიმ.

— დიდი საქმეებს უძღობა გეტყვი მე!—ჩახლეჩილი ხმით წარმოსთქვა მეორე სტუმართაგანმა.

ასეთ საუბარის შეექცენ ედიშერის ლოდინში სტუმარი და მასპინძელი.

▲

ფრთხილი რაკუნი გაისმა თაყას სახლის უკანა კარებზე.

თაყა წუთით არ დაფიქრებულა წამსვე კარი გააღო და მიიღო ორი სახე დაჩითული სტუმარი.

— მოვიდენ?!—გაისმა სტუმრის ხმა და სახე გამოიჩინა იონა ფერხულიძემ. თაყამ კი თვალით ანიშნა, ყველანი ფეხებ აკრეფით გამოვიდენ და შეაღეს ვენახის კარი.

ვენახში ღობის ძირებიდგან გამოელაგენ წელში მოღუნული სხეულები და რიგრიგობით შევიდენ იქვე პატარა ქოხში, რომელიც თაყას ვენახის მოსავლელ იარაღებისათვის ქონდა დადგმული. მალე ყველანი მიწამ ჩაყლაპა.

ხერხიან თაყას აქ გაეთხარა გვირაბი, სადაც ხშირად მართავდენ არალეგარულ კრებებს...

— რომ ხელი შეუწყოთ კოლექტიურ მეურნეობის ზრდა განვითარებას, ამისათვის საჭიროა მტკიცედ იმის გატარება, რასაც ეწოდება კოლექტივიზაცია!—გაისმა ედიშერის ხმა სტუმარ გლეხებთან.

— რომ ხელი შეუშალოთ კოლექტიურ მეურნეობის ზრდა-განვითარებას, ამისათვის საჭიროა ვაწარმოოთ პრობაგანდა, რომ გლეხები არ ჩაებან საბჭოთა მშენებლობაში!—გაისმა იონას ხმა არალეგალურ კრებაზე.

— ტრაქტორი ეს ამხანაგებო მამა-ძარღვია გლეხის ცხოვრებაში.

მას სჭირდება გაერთიანებული მიწები, მაშინ დაინახავს გლეხი მისი შრომის ნაყოფს გაასკეცებულს!—საუბარს აგრძელებს ედიშერი.

— ტრაქტორის შემოტანა დიდათ აფერხებს და უკან ხევს ჩვენს მუშაობას! ჩვენ უნდა ვეცადოთ, როგორმე ხელი შეუშალოთ ტრაქტორის მუშაობას.

აგრეთვე, როგორმე კულტურულ მცენარეების მოვლა მოშენების საქმეც უნდა, როგორმე უნდა შევაფერხოთ, თორემ თუ გლეხმა მაგათ საქმიანობაში დაინახა რაიმე სასარგებლო მორჩა ჩვენი საქმე წასულია!—საუბარს აგრძელებს იონა.

— თუ გვცემ იმდენ პატივს და თქვენ ჩაერევით ჩვენ საქმეში ხომ აგვაშენებთ და ის იქნება. თუ არა და რჩევა-დარიგებას შენგან მაინც მუდამ მოველით.—გაისმა ჭისკართან სტუმართაგანის ხმა.

— დიდი სიამოვნებით რითაც შემეძლება მე მუდამ თქვენთან ვიქნები შემატყობინეთ და პირველ კრებაზე დაგესწრებით, მხოლოთ ადრე მაცნობეთ.—ამ სიტყვებით გაისტუმრა ედიშერმა მეორე სოფლის გლეხები, რომლებიც მოგზავნილი იყვენ კოლექტივის დამაარსებელ გლეხებისაგან რჩევა დარიგების მისაღებთ.

— ტრაქტორი უნდა გავაფუჭოთ!—კრებაზე ჩვეულებრივზე დაბალი და ნერვებ დაჭიმული წარმოსთქვა იონამ და ყველანი შიშით წელში გაიღუნა.

ამ გადაწყვეტილებით დაიშალენ იმ ღამეს.

△

— ვერ მიგიღებთ ჩემო კარგო! შენ მე პირადათ დიდ პატივს გცემ, მაგრამ რა ვქნა შენი ვაჟბატონი ჩვენ მიწას გვითხრის და თქვენი ოჯახი კოლექტივში, როგორ მივიღოთ!

— აბა რა ვქნა მე შავდღეზე გაჩენილმა, რომელ წყალს მივცე თავი. გამძვრა ტყავი აღარ ვარ კაცი!..

მოვკლა როგორ მოვკლა შვილი მაინც არ იყოს ჩემი, რომ ვეკითხები არაფერში აღარ ვარო, და რა ჯანდაბა მოუხერხო!.—ასე მილაპარაკობდენ გლეხი რემანოზი და ედიშერი გზაზე.

— გადი გადამშორდი! გადავარდი წყალში! არ გნახოს ჩემამ თვალებმა!..

დევიქეცი და ამოვარდი კაცი შენი მამაძაღლური საქმეების გადამკიდე!

აი აგერ ეშველება! აი აგერ მოვა თავს მეთქი! საქმე არ გაქ! სულ უკულმა წევიდა მაგის თავი და ტანი!

მე მგონია უნივერსიტეტში სწავლობს მაგი, თურმე ეშმაკებს დასდევს იქინე!

რაი მაქ სამენშევიკო და სამამაძაღლო მიდღემჩი კუჭი არ გაძღომია ჩემს გვარს და ჯილაგს!—დილას მიწიან დერეფანში ყვიროდა, ილანძღებოდა რემანოზი და ბრაზმორეული კედელს ეხეთქებოდა.

— რა იყო კაცო რამ გადაგრია ამ დილაზე?—შეეკითხა მეულლე.

— ოი შენი სისხლი დალია ძაღლებმა! შენ გადარჩე და შენ გააფუჭე მაგი! ტანჯული საქართველო! იძახეთ ორივე დედა-და შვილმა და დამიქციეთ ოჯახი!.

ლევანი იჯდა პირდაუბანელი ფანჯარასთან და ...

მისცემოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

△

— უკანასკნელ საბოროტმოქმედო კრებამ მაიძულა მოვსულიყავი შენთან და გამემხილა ბოროტული განზრახვა!

მთელი ჩემი საუკეთესო სამოსწავლო წლები შევწირე უაზრო და უტაქტო მუშაობას!

დღეს ღრმათ დავრწმუნდი მასში, რომ მეც და ბევრი ჩემისთანა ახალგაზრდა, სტუდენტი მოტყუვდა და გადაეჩეხა უფსკრულისაკენ.

მე მინდა ერთხელ და სამუდამოთ დავსტოვო ძველი გზა და სრულიად შეგნებულად დავსდგე საბჭოთა მშენებლობის გზაზე! მხოლოთ ჩემი თხოვნა იქნება არ გამამხილო! არ მინდა ხალხის თვალში ვიყო ჯაშუში! მე ამას ჩავდივარ არა რაიმე პირადი სარგებლობის მიზნით არამედ ღრმათ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენი მოქმედება იყო შემცდარი!

ტრაქტორს გაუფრთხილდით!!. განუზრახავთ გაფუჭება!!—სთქვა ედიშერთან ლევანმა ბნელაში და გაქრა.

ედიშერი დარჩა გაფითრებული.

ვინ არის კიდევ ჩვენ სოფელში ასეთ ნიღაბში!

საჭიროა ერთი რიგიანი გადარჩევა. სიკვდილი მას ვინც ეღობება და ხელს უშლის მეურნეობის ზრდას!—გაიფიქრა ედიშერმა და განაგრძო გზა.

ამ საიდუმლო ამბის შემდეგ ედიშერის თვალს ძილა არ მიკარებია.

მთელი ღამეებით ფარდულის ირგვლივ სდარაჯობდა ტრაქტორს.

გლეხებში არ გაამხილა, რადგან ეს გამოიწვევდა ერთგვარ შიშს და საფრთხეში ჩააგდებდა ახალ საქმეში ჩაბმულ გლეხობას.

△

ერთ საღამოს სამიკიტნოში მოხეტიალე მეხანიკს შეუჩინეს რამოდენიმე ახალგაზრდა, რომლებმაც უგრძნობლათ დაათვრეს ის. ოთახში მიყვანის დროს მას ჯიბიდგან გასაღები ამოაცალეს.

იმავე ღამის ნაშვალამევი იქნებოდა ფარდულის ეზოს ჭიშკართან ორი უცნობი შეჩერდა, ცოტა ხნის შემდეგ ერთი მათგანი ჭისკარზე სწრაფად გადახტა და მიაშურა ფრთხილად ფარდულს.

ძაღლმა ერთი ზარმაცად დაიყეფა, მაგრამ მის წინ გაგორდა ხორცის ნაჭერი და საკბენათ მომზადებული კბილებით დაიწყო ღირძნა.

უცნობმა ფარდული გააღო და მოტორის ნაწილებში შეიტანა ბოროტი ხელით რაღაც ნივთიერება. ისევ დახურა ფარდულის კარი კლიტე დადო და გამობრუნდა.

აჩქარებულ ფეხით კვლავ გადასაბიჯარ ჭისკარს მოახტა და უცნობნი გაწყვილებულნი გაქანდენ სოფლიდგან გასასვლელ გზაზე.

ძაღლმა ერთი უკანასკნელად დაიწკავლა და პირში ხორც შერჩენილი დალია სული.

ძაღლის წკავილზე გლეხი დერეფანში გამოვიდა, ჩაახველა და ძაღლს დაუძახა. გაუკვირდა ერთგული ძაღლის მიერ ეზოს მიტოვება, ოთახში შებრუნდა, სანათი გამოიტანა და ძაღლს დაუწყო ძებნა.

იქვე დერეფნის ქვევით შესავალში იპოვა მისი სახლკარის ერთგული დარაჯი ფეხებ გაფშეკილი.

— მურა!.—ჩასძახა განცვიფრებულმა. ფეხი წაკრა, სანათი ახლოს მიიტანა.

— კაცო რას დაფხაკურობ ამ შვალამეზე რა მოგივიდა.— თვალებ გაუხილავად შეეკითხა გლეხს ლოგინში მიტოვებული მეუღლე.

— ძაღლი მოგვიწამლა ვიღაცამ:—გაისმა გლეხის პასუხი.

— ძაღლი!!—დაიძახა დიასახლისმა და ლოგინზე წამოჯდა ბაღლინჯო ნაკბენივით.

— ვის გაუხმა ხელები!.

— მურიი მოკვდა დედა! ვინ მოკლა? საწყალი მური!.—შესძახა ხმაურობით გამოღვიძებულმა გოგონამ და ნამძინარები სახე მოკუმშა.

ამ რიგათ მთელ ოჯახს მწუხარებით მოედო მურიას უბედური შემთხვევა.

გლეხმა ცას ახედა. ვარსკულავებით დრო გასინჯა და რაკი ჯერ კიდევ გათენებამდი კარგა ხანი იყო ფიქრიანი თვალებით ლოგინზე გაგორდა და თამბაქოს ბოლში დაუწყო ძებნა ბოროტმომქმედს.

ასე იყო გლეხი უძილოთ, სანამ ფანჯრებში მზის შუქმა არ შემოანათა.

იმ დღეებში კოლექტივი თუთუნის ნერგისათვის ნიადაგს ამზადებდა.

აგრონომის გაფრთხილებით გლეხები გაფაციცებით მუშაობდენ, რადგან თუთუნის მოვლა-მოყვანის კულტურა ითხოვდა საათობით ყურადღების მიქცევას.

ამ საქმეში დაინტერესებული და კოლმეურნეობის ერთგული აგრონომიც ყოველ წუთში გლეხებს უძღოდა წინ და განაგებდა ახალ საქმიანობას.

გათენდა. სოფელი აიშალა. ყველა სამუშაოსაკენ მიეშურება.

— ვის უნდა დავაბრალო არავიზე იქვი არ მაქვს?

— გაისმა გლეხის ხმა.

— ეს წუხელ მოხდა?—

— დიახ გამთენიის ხანი იყო მე მერე აღარ დამიძინია—ისევ უპასუხა გლეხმა.

— საკვირველი ამბავია!—სთქვა აგრონომმა და პაპიროსი მიაწოდა გლეხს. ამ საუბარით მივიდენ და ჩამოჯდენ თვლებ გამოღებულ დაშვებულ ურმის ბოლოზე.

— სად არის ამდენ ხანს. იმან რომ თავისი არ ქნას ხომ არ იქნება..—სთქვა აგრონომმა და თამბაქოს ბოლი ჭისკრისაკენ გაუბერა.

— ცოტა გადაცხება უყვარს, ალბათ წუხელი სადმე ჩაიქეიფა—განმარტა გლეხმა კითხვა.

— ძალიან სათუთი მოსავლელია თუთუნი, დიდი სიფრთხილეა საჭირო, თორემ ერთი დღის გადაშორებით სავსებით დავღუპავთ ნერგს!—გაბრთხილების მიზნით დაიწყო აგრონომმა.

— თუ მაგან გაგვიმართლა გავიმართებით წელში.—სთქვა გლეხმა.

ამ დროს დაგვიანებული მეხანიკი ჩამოვარდა ჭისკარში თითქოს მოსაკლავად მოსდევენო. სალამი დამხდურთ შეუჩერებლივ გასძახა და დანაშაულის გამოსასყიდათ ფარდულის კარებს მივარდა.

ცოტა ფუსფუსის შემდეგ წინა თვლებთან მივიდა, ფეხები მაგრა გააბჯინა და მოსამართად მოიქნია ხელი.

პირველმა უმტყუნა. ქუდი გაისწორა მეორე უფრო მძლავრათ მოუქნია და მოტორი აგუგუნდა.

აგრონომი და გლეხი ჭისკრისაკენ გაემგზავრენ შესახვედრათ.

მეხანიკი სახელურს მიუჯდა და ტრაქტორს დაუწყო ხელებით და ფეხით მართვა. მოტორი ახმაურდა ფარდულში ბოლი დადგა და ეზოში დამწვარ ბენზინის სუნი გამოვიდა.

აგრონომი და გლეხი უჩვეულო ხმაზე ფარდულისაკენ შემობრუნდენ. ის იყო ორი ნაბიჯი წასდგეს, იგრიალა ფარდულში მძლავრმა ხმამ.

სოფელში აყეფდენ ძაღლები, აკაკანდენ ქათმები და გარეთ გამოცვივნდენ მეოჯახენი.

— ეს არ არის კარგი ამბავი! — ეკითხებოდენ გლეხები ერთი-მეორეს.

ჯერ პირველი აფეთქების ხმა ახლო-მახლო გორებს ეხეთქებოდა და გაისმა მეორე გრგვინვა.

გაივსო ვიწრო ქუჩები სახე გაფითრებულ გლეხებით.

ფიცრით ნაშენი ფარდული ალში გაეხვია.

ჭისკარში ჩამორბოდენ ქალი, კაცი დიდი და პატარა; კოკებით, ვედრებით ქვაბებით.

გლეხები პირველ რიგში ტრაქტორს იცავდენ.

ცეცხლი მალე ჩააქვრეს.

სახლი და ტრაქტორი დაწვას გადაარჩინეს.

სახე შერუჯულ და ხელებ დამწვარ მეხანიკს აღმოუჩინეს საექიმო დახმარება.

ეზოში ურიცხვი ხალხი ირევა.

ისმის საერთო ყოყმანი.

ყველას სურს ვაიგოს მომხდარ ამბავის მიზეზი.

იმ ღამეს ედიშერს მეორე სოფელში კრება ჰქონოდა, სახლში გვიან დაბრუნებულიყო და დილას ტკბილად ჩასძინებოდა.

ადრე ამდგარ აღათის სმენას არ გამოპარვია არც აფეთქების ხმა და არც ხალხის ყვირილ ჟრიამული, მაგრამ დაღლილ ედიშერს არაფერი არ უთხრა.

თითქოს ედიშერს სოფლის ჭირ-ვარამის მატარებელს ვიღაცამ ჩასძახა ძილში.

— ადექ გლეხების არწივო სოფელს უჭირს მოეხმარეო! უეცრივ წამოვარდა თვალები დაისრისა და საათს დახედა, სწრაფად ჩაიცვა.

— ვერ იძინე შვილო ჯეერ!..—კარებში შემოსვლისთანავე შემოსძახა ედიშერს აღათიმ.

— რა იყო?—თითქოს რაღაც გრძნობამ ათქმევინა ედიშერს.

აღათიმ იფიქრა გავარდნილ ხმაზე მეკითხებაო.

— არაფერი შვილო ლაღუმს გაისროდენ ვინმე ჭას სთხრის ალბათ!..—უპასუხა აღათიმ.

— რაო? ხმა იყო რისიმე თუ?!— სთქვა ედიშერმა და ფანჯარას მივარდა, შემდეგ დერეფანში გავიდა.

სოფელში კვლავ გაისმოდა ძაღლების ყეფვა და რაღაც ყოყმანი.

ედიშერი არაფერი იცი?—ჭისკრიდან შეეკითხა მეზობელი ამბიდგან დაბრუნებული გლეხი.

— არა რა იყო!.—დაიძახა ედიშერმა და კიბეზე ჩაირბინა ხელ-ნაკრავივით.

— ტრაქტორი აუფეთქე...

— რაო, ტრაქტორიო!!—სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო ამბის მომტანმა როცა ქორივით დაეცა თავზე გახელებული ედიშერი.

აღარ მობრუნებულა ედიშერი უქუდოთ და უქამროთ გაექანა უბედურების ადგილისაკენ.

აფეთქების ადგილზე ხალხი ემატებოდა.

ჩამქრალ ხანძარზე ბიბინებდა დამწვარ დარუჯული წყალში ჩაყრილი ლარძაყინები. ხის ძირებში ეყარა სახლის ავეჯი და ძუძუებ გადმოყრილი ბავშიანი დედაკაცი სახედაკაწრული მოსთქვამდა ზარალს.

უეცრივ ხალხის სახეები ჭიშკრისაკენ შებრუნდა.

— ედიშერი!!.—გაისმა საერთო ხმა.

ედიშერი ჭისკარს მივარდა გამხეცებული. მისი სახე ოფლში იწურებოდა.

თვალებით ცეცხლს აფრქვევდა და დაჭიმულ ძარღვებით ბოროტების კვალს ეხეთქებოდა.

იგი პირველად მივარდა ტრაქტორს და თვალი შემოავლო. შემდეგ მიუბრუნდა ხალხს.

ყველა ედიშერისაკენ გარბოდა, ყველას ედიშერის მოქმედება აინტერესებდა.

— არ შეშინდეთ გლეხებო! ჩვენ, ოქტომბრის რევოლიუციის დარაჯებს ვერ შეგვაშინებს ასეთი ბოროტი ხელი, რის ნამოქმედარსაც თქვენ უცქერით ამ წუთში. დამნაშავე ჩვენშია ამხანაგებო! რევოლიუციის და თავის თავის მოღალატე იქნება ის ვინც ეხლა ჩვენს გვერდით არ დადგება და ბოროტების ხელმოჩენაში მონაწილეობას არ მიიღებს. სიკვდილი მას ვინც ჩვენ კეთილდღეობის საქმეში ბოროტებით შედის და მის ზრდა განვითარებას წინ ეღობება!—გადასძახა მწუხარე გლეხებს ედიშერმა. იგი ცეცხლს აფრქვევდა სახიდგან და გახურებულ მკერდით მიეშურებოდა ბოროტმოქმედის კვალზე.

— სიკვდილი მას!. სიკვდილი ჩვენს მტრებს!.— ისმოდა ხმები.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აწარმოებდენ კვლევა ძიებას.

აწყნარებდენ დაზარალებულ ოჯახის წევრებს, მითი, რომ მათი ზარალი, ერთი ორათ იქნება ანაზღაურებულიო!.

მცირე ხნის განმავლობაში სოფლის კარ-მიდამოს მოედო ცხენოსანი მილიცია და შეიარაღებული ამხანაგები ედიშერის ხელმძღვანელობით.

თაყას მოჯამაგირე ორჯერ-სამჯერ ხელში ჩავარდნოდა ედიშერს.

ყრუ მოჯამაგირისათვის იმედიანი გრძნობები გაეღვიძებია, რომ შენებურ ხალხისთვის შენდება ახალი ქვეყანა და თვალები გაახილეო!

მოჯამაგირე ედიშერმა გლეხკორთა რიგებში ჩასწერა და თან გააბრთხილა საიდუმლოს ტარებისათვის.

წუხელი მოჯამაგირე საოცარ ამბავს წაეჩეხა. თაყას მეუღლემ ქმარი ქალაქს გაისტუმრა ვითომც რაღაც სასამართლოს საქმისათვის, როგორც ხშირად დაეხეტებოდა კულაკი მარგველაძე.

მაშინ მოჯამაგირე წისქვილში წასასვლელ ურემს ამზადებდა, მან თვალი მოჰკრა თაყას მეუღლეს მეხანიკის ოთახში შესვლისას. მოჯამაგირე დაინტერესდა და გაიფიქრა ნუთუ ამ ხნის ქალს უზნეო სურვილი აღეძრა, რომ ამ შუალამისას ახალგაზრდა მეხანიკის ოთახში შეცოცდაო!..—

ეს გაიფიქრა და ფეხებ აკრეფით ფანჯარას მიუახლოვდა, ვერ მიწვდა ფანჯარას და დასაბუდრებელ ქათამსავით დაიწყო წაგრძელებულ კისრით თავის ქნევა შეხედვით დაინტერესებულმა.

გული უძგერდა ფანჯარაში შეფრენას აპირებდა, იქვე მიგორებული შაბიამანის კასრი გამოაგორა და სწრაფად შესკუპდა.

მისმა მაძნიებელმა თვალებმა სულ სხვა დაინახა.

დიასახლისმა მეხანიკის შარვლის ჯიბიდან რაცაც ამოაცოცა და ოთახიდან გავიდა.

სახლის უკანა კარში გავიდა და ვენახის ჭიშკარში შევიდა.

მოჯამაგირე საქონლის საბმელში მიიმალა და გაოცებულმა დაიწყო ფიქრი.

რა იყო, ეს რას ნიშნავდა!.

დიასახლისი მალე მობრუნდა კარები ჩაკეტა და მიიძინა.

ყველაფერი მიყუჩდა.

ყველაფერმა მიიძინა. მხოლოთ ხარები ხმელ ჩალას აშრიალებდენ.

მოჯამაგირემ ურემი გაამზადა და, რადგან შორეულ წისქვილზე იყო წასასვლელი გზას გაუდგა. როდესაც მოჯამაგირე წისქვილში მივიდა უკვე გათენებული იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ფიქრი მიყვა მას წისქვილზე.

ერთი თაყას მეუღლის რაღაც საეჭვო მოქმედება და მეორე აფეთქების ხმა.

საფქვავი გადმოიღო ურმიდან. ხარებს ჩალა მიუყარა და ტომრებზე მიწვა.

წისქვილში ჯერ კიდევ ბნელოდა.

გარეთ ნაჩვევი თვალით დიდ ხანს ვერ გაარჩია დამხთურთა ვინაობა, მაგრამ, როცა თვალთა ხედვამ გზა გაიგნო მან დაინახა ორი მგზავრი ევროპიულ ტანსაცმელით გამოწყობილნი.

ძალიან არ გაკვირვებია მოჯამაგირეს, რადგან მას ხშირად ენახა ასეთი ვაჭრები წისქვილშიც და დუქნებში ღამის გასათევად.

წამოდგა და რადგან საფქვავი ძალიან ბლომად იყო მიტანილი წისქვილში და მას ჯერი მეორე დღემდე არ მოუწევდა ხარები შეუბა და შინისაკენ გასწია.

როგორც კი მიუახლოვდა სოფელს, მოესმა ცხენების ფეხის ხმა.

ხმის გაგონებას მალე თვალის სანახაობა მოჰყვა. მას წინ შემოეჩეხა გაორთქლილი და დამტვერილი ცხენოსნები და მეურმე შეაჩერეს.

კითხეს მეურმეს სად იყო, საიდგან მოდის, რა ნახა და რა გაიგონა.

მოჯამაგირე დაიბნა შეკითხვებს თავის გაქნევით აძლევდა პასუხს.

როცა დაეხსნენ მეურმეს და გზა განაგრძეს მოჯამაგირემ ედიშერს დაუძახა.

— მე ვნახე ჩემი ქალბატონი მეხანიკის ოთახში! ჯიბიდგან რაღაც ამოიღო და ვენახში გადავიდა!—უამბობს მოჯამაგირე.

— მეტი არაფერი გინახავს?—ეკითხება ედიშერი.

— ხო, მეტი არაფერი. რა იყო, რა მოხდა სოფელში, რისი ხმა იყო?—იკითხა მოჯამაგირემ.

— ტრაქტორი ააფეთქეს!.

— ტრაქტორი!!—წამოიძახა მოჯამაგირემ და თავში რაღაც ფიქრმა გაუელვა.

ედიშერმა ცხენს მათრახი შემოუქნია და შებრუნდა.

ედიშერ მოიცა!—გაისმა მოჯამაგირის ჯ ა.

— რა!—მიიღო პასუხი.

— მად წისქვილში ორ უცნობ მგზავრს სძინავთ! იქნებ მიუსწროთ!.

ამ სიტყვების დამთავრება ვერც კი მოასწრო მოჯამაგირემ, რომელ-ცა ედიშერმა ცხენს მათრახი შემოკრა და გაექანა.

ამხანაგებს ჩაუქროლა და გასძახა.

— ჩქარა მომყევითო!—ცხენოსნები წამში გზატკეცილის მტვერში გაეხვიენ.

ის იყო წისქვილიდან უცნობი მგზავრები გამოვიდენ და გზას ირჩევდენ, მათ მოესმათ ცხენების ფეხის ხმა.

ბევრი აღარ უფიქრიათ გადავიდენ მინდვრებში და გაექანენ რაც ძალა ქონდათ. აპირებდენ ერთ დაბალ გორაკზე გადასვლას, რის შემდეგ ძნელი გახდებოდა მათი მონახვა. ცხენოსნებიც გამოჩნდნენ.

ნადირი და მონადირე ერთ ხაზზე გაიშალენ.

— შეჩერდით!!—დაიღრიალა დაუზოგავ ხმით ედიშერმა და თოფი გადმოიღო.

მგზავრები გარბიან. ედიშერმა მეორეთ დაიყვირა და თან შესაშინებლად თოფი გაისროლა.

მგზავრები სცდილობენ გადაასწრონ გორაკზე მაშინ ედიშერმა თოფი მიზანით გაისროლა და დასჭრა ერთ-ერთი მათგანი.

მგზავრები შეჩერდენ დაჭრილი დაეცა.

მალე ცხენოსნები გარს შემოერტყენ.

— ედიშერი შენ მომკალი!!.—წაილუღლუღა გასისხლიანებულ იონა ფერხულიძემ.

— მე მოვკალი ოქტომბრის რევოლიუციის მტერი!.—უპასუხა თავჩაკიდულ იონას ედიშერმა.

საღამოს მზე, როცა ღრუბლებში სუნთქავდა სოფლის ქუჩებზე ჩამოატარეს ფეხში მსუბუქათ დაჭრილი იონა ფერხულიძე თავის ამხანაგით.

ის ღამე აღმასკომში გაატარეს დაჭერილებმა. დილას მათ წყვილ რიცხვს მოემატა კიდევ ბევრი წყვილები.

ედიშერმა ქალაქიდან ჩამოიყვანა ახალი მეხანიკი და რამოდენიმე დღის შემდეგ კვლავ აგუგუნდა ტრაქტორი და ამუშავდა კოლექტივის მძლავრი ხელი.

ამ დღეებში გაზეთ „ახალ სოფელში“ გამოქვეყნებული იყო ბოროტმოქმედება, რომ თაყა მარგველაძე სხვებთან ერთად სამუდამოთ გაება გაუალ ხაფანგშიო!.

ზაქარო ნავთლუღელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქოს მიდამო

მიდამო იგი, მწირი იყო
    გადახრუკული:
მცენარე ფესვებს ვერ იდგამდა,
    ვერა გვაროობდა
მასში მცხოვრებნი ყვავილ-ნარის
    იყო ნატრული,
იმაზე მხოლოდ ოცნებობდა,
    ვერ ნეტარობდა.
შეცვლილა... იმას ალარა აქვს
    წარსულის სახე;
მისი ბუნებაც, და ცხოვრებაც
    გარდაქმნილია,
ლხენით აღვივსე მშვენებანი
    მისი, რომ ვნახე,
თვალ წინ დამიდგა მწარ წარსული
    მის აჩრდილია.
შოლლარის წყალი, იმ ყოფილ მწირს
    არე-მარესა,
ყვავილ-ნარებით შემმოსველად
    მოვლინებია;
იმის მიდამოს ზედ აყენებს
    წალკოტის ფერსა;
ქუჩებს მცენართა ჩარიგება
    დამშვენებია.
ვისაც უნახავს ძველად ბაქო,
    დღეს ველარ იცნობს:
მის მშენებლობას, სილამაზეს,
    ზღვაც კი გზას უთმობს;
ცელქი ტალღები უმღერიან
    ნივთის სამეფოს,
და ოცდა ექვსთა უკვდავება,—
    ამშვენებს, ამკობს...
სახელ განთქმული უხვად აფრქვევს
    „ნავთს ბიბი-ბათი“,

მთა შემრეშილი გულ მხურვალე
ზედვე დაჰყურებს,—
იქ, კოშკებია, მის მშვენება,
შნო და ლაზათი,
უფოთოლო ტყედ აზიდული
სივრცეს გაჰყურებს.
ზღვა მოკამკამე ხან მშვიდი და
ხან კი მღელვარე,
ტალღების აღლუმს უმართავს და
ეალერსება;
იქ მაჯისცემა არა სცხრება
სძგერს დღე და ღამე,
მის გაშლილ მკერდზე დანავარდობს
გემთ წყებათ-წყება.
იქ, მანქანები გუგუნებენ
ზარით—ზეიმით!
შორით-შორს ისმის საიმედო
მათი ხმაური,
ზოგგან ხვრეტავენ ნიადაგსა
ფოლადის ბურღით!
ზოგგან საქაჩავთ გაუბიათ
აურ-ზაური;
მიწა გრგვინავდა და გმინავდა,
არ წყნარდებოდა.
ქვესკნელს ზესკნელი დაჰყურებდა
გამარჯვებული,
ხმა მძაფრი მისი გოდებისა
ცასა სწვდებოდა,
და ამოჰქუხდა შადრევანი
გამძაფრებული.
პიტალო სალ კლდეს მკერდს უპობდა
პირ ბასრი ბურღი,
დაუნდობელი მანქანები
მედგრად იბრძოდა,
წყალს თიხა ნარევს ამოსდევდა
კლდე დანაბურღი,
შრომისა შვილი გეზს აძლევდა
რაც იქ ხდებოდა.

ᲨᲝᲗᲐ ᲛᲐᲜᲐᲒᲐᲫᲔ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

დღეს, ჩვენს ახალგაზრდობაში საგრძნობლად მომწიფდა აზრი **მუშა-ახალგაზრდობის თეატრის** შექმნის აუცილებლობის შესახებ, რადგანაც ის მიზან-შეწონილი, მეტად სასარგებლო და საჭირო საქმეა.

მუშა-ახალგაზრდობის თეატრი ერთად-ერთი თეატრია საბჭოთა სინამდვილეში, რომელიც ასრულებს მუშა მაყურებლის სოციალურ დაკვეთას. მუშა ახალგაზრდ. თეატრს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. იგი სოციალურ-პოლიტიკური პროპაგანდის ორგანოა და ასრულებს თეატრალურ „აგიტპროპის“ როლს. ამ თეატრმა რუსეთის მრავალ ქალაქებში იმდენათ ნაყოფიერი მუშაობა აწარმოვა, რომ საბოლოოდ განამტკიცა აზრი მისი არსებობის აუცილებლობის შესახებ და მოიპოვა მუშა ახალგაზრდობის აუდიტორიის დიდი სიყვარული. დღეს ლენინგრადსა და მოსკოვში ვერ ნახავთ ისეთ კლუბს, სადაც რამოდენიმეჯერ არ გამოსულიყოს ეს თეატრი და ვერ ნახავთ ვერც ერთ ახალგაზრდა მუშას, კომკავშირელს, რომელიც აღფრთოვანებული არ იყოს „თავისი თეატრით“ (ასე ეძახიან მოსკოვის და ლენინგრადის „ტრამს“ კომკავშირელები).

მუშა ახალგაზრდობის თეატრი დღეს აღწევს სულ ახალ ჰორიზონტებს: მან შექმნა არა მარტო ქარხნიდან მოსული—საკმაო მომზადებული **მუშა-კომკავშირელი—აქტიორი,** არამედ ამასთან ის ქმნის **თავის დრამატურგს** და **„ახალ რეჟისორთა ასოციაციის“ უშუალო მონაწილეობით დღეს ამზიდებს უმაღლეს კვალიფიკაციის რეჟისორებს.**

იმისათვის, რომ ამ თეატრს მოენახა თავის საკუთარი სტილი საჭირო შეიქნა ძველი თეატრალურ კულტურის ყირამალა დაყენება და მის ნანგრევებზე—მისთვის გამოსადეგ საჭირო ნამტვრევებიდან აშენება ახალ და მუშათა მასებისათვის გასაგებ ხელოვნების.

მუშა ახალგაზ. თეატრი თავიდანვე სავსებით გაემიჯნა პროფესიონალურ თეატრების სისტემას. ნაცვლად აკადემიურ და საერთოდ პროფესიონალური თეატრების ნელი და მძიმე ევოლიუციონურ გზისა—მუშა ახალგაზრდობის თეატრი ადგია და აწარმოებს გაცხარებულ ექსპერიმენტალურ მუშაობას ახალ თეატრალურ ფორმების შესაქმნელათ.

მუშა ახალგაზრდობის თეატრი მტკიცედ აკავშირებს მაყურებელს და სცენას. მუშა-მაყურებლის შემოქმედება, მისი კოლექტიური სულისკვეთება და ყოველ დღიური საჭირ-ბოროტო საკითხები ნათლად ესახება მის თეატრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ახალგაზრდობის თეატრის წინაშე მეტად დიდი ამოცანები დგას: ის კულტურული რევოლიუციის ერთ-ერთი მძლავრი იარაღთაგანია, ის უნდა იქცეს მძლავრ იარაღად სოციალისტურ შეგნების, პროლეტარულ იდეოლოგიის განმტკიცებისა და ცხოვრების ახალ საფუძველზე მოწყობისათვის ბრძოლაში; მუშა ახალგაზ. თეატრი, როგორც ემოციონალური ზეგავლენის კატეგორია უნდა გახდეს სანიმუშო ფაქტორი ახალი ყოფა-ცხოვრების და ახალ იდეოლოგიის განმტკიცებაში. მან უნდა მოახდინოს მუშა ახალგაზრდობის ფსიხიკისა და შეგნების ორგანიზაცია; მის უშუალო მოვალეობას შეადგენს მხატვრული და მიზანშეწონილი პროპაგანდა იმ იდეებისა, რომელზედაც ახალი საზოგადოებრივობა უნდა აშენდეს. მისი ამოცანაა ალღო აუღოს მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრებას და სწორად მოგვცეს მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მუშა ახალგ. თეატრი თავის არსებობის აუცილებლობას მაშინ გაამართლებს თუ ის აღზრდის ახალგაზრდობას დღევანდელობის აქტუალურ მასალაზე დაყრდნობილ პროდუქციით.

ამგვარად, მუშა ახალგაზრდობის თეატრი უძლიერესი ფაქტორია მუშა ახალგაზრდობის აღზრდისა და ახალ საზოგადოებრივობის განმტკიცების საქმეში. იგი უძლეველი იარაღია ახალი ყოფის და კულტურის უხვად შეტანის მხრივ მასსებში. ახალი ყოფის, ახალი ადამიანის შექმნა უმოქმედობით ან ერთი დაკვრით არ შეიძლება. ამისათვის საჭიროა მთელი ჩვენი ძალ-ღონით სისტემატიური შებრძოლება ძველი ყოფის-ძველ ადათ-წესების, წინააღმდეგ ძველი და ახალი ყოფის დაპირის-პირებით. მუშა ახალგაზ. თეატრის ყოველი ახალი პროდუქცია თავის ორგანიზმის მთლიან ელემენტებით გარკვევით უნდა ლაპარაკობდეს ახალი ცხოვრების შესახებ, უნდა ეფარდებოდეს მშრომელთა მოწინავე ფენების ყოფა-ცხრვრებას და უნდა ამხნევებდეს მშრომელი საზოგადოების ჩამორჩენილ ნაწილს კულტურულ ცხოვრებისათვის საბრძოლველად.

და კიდევ: მუშა ახალგაზრდობის თეატრმა საღი, ფხიზელი აზრის განმტკიცების გზით ხელი უნდა შეუწყოს ახალი ყოფის, ახალი საზოგადოების, ახალი ადამიანის ფორმაციას. ახალი ადამიანი ეს ის არის ვინც მაღლა სდგას ბურჟუაზიულ მორალზე და ფსიქოლოგიაზე. ასეთი ადამიანი კი მხოლოდ ახალი იდეოლოგიის, ადა-

მიანთა ახალი ურთი-ერთობის, ახალი ეკონომიკის ნიადაგზე შეიძლება აღმოცენდეს.

შეუძლებელია დღევანდელი მუშა მაყურებელის მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ ძველი დრამატურგიის მიერ მოცემული მასალით. ძველ დრამატიულ ფაქტურას ახასიათებს აბსტრაქტიულობა და აშენებულია გამოგონილ-ფანტასტიურ სიუჟეტებზე და ემყარება ინდივიდუალურ-ინტიმურ განცდების რომანტიკას. ჩვენთვის კი საჭიროა რეალური მასალა, რეალური ფაქტი, ყოველგვარ აბსტრაქტიულობის გარეშე. ყოველდღიური საბჭოთა სინამდვილე და პროლეტარული რევოლიუცია დაუშრეტელი მასალაა ახალი თეატრისათვის. საჭიროა მხოლოდ პრინციპიალური მიდგომა, გარჯის უნარი და საღი, ფხიზელი ტვინის ამუშავება. არ შეიძლება მუშათა ახალგაზრდობას მივსცეთ ისეთი ფაქტიური მასალა, რომელიც მოკლებულია აქტუალურ მნიშვნელობას. თეატრალურ მასალას მაქსიმალურად უნდა ახასიათებდეს დროს შეგრძნობა. ახალი ყოფა-ცხოვრება ჩამოყალიბების პროცესშია; თეატრალური პროდუქცია ან თეატრისათვის გამიზნული ფაქტიური მასალა, რომელიც აქტუალური იყო გუშინ—ხვალ უკვე ჰკარგავს თავის სიმძაფრეს. ახალი დრამატიული ნაწარმოები უნდა შენდებოდეს ახალ, თემატიურად აქტუალურ მასალაზე—კონსტრუქციის ახალი კანონების, ახალი ხერხების აღმოჩენის გზით. ნაცვლათ ბურჟუაზიულ თეატრის მიერ ყოველ დღიურ შრომით მოქანცულ მაყურებლის ილიუზიორულ განცდათა სამყაროში გადაყვანისა—სინამდვილიდან დეზერტირობის ხერხით, მუშა ახალგაზ. თეატრი პირდაპირ აყენებს მუშა მაყურებელს ამ ყოველ დღიურ სინამდვილის წინაშე. მუშა მაყურებელს არ ეშინია ამ სინამდვილის რადგან თვით არის მისი კარგისა და ავის გამომჭედი და ყოველ დღიურ იბრძვის უკეთეს სინამდვილის შესაქმნელათ. მუშა ახალგაზრდობის თეატრის დანიშნულებაა, რომ მის მიერ მოცემული პროდუქცია დღევანდელ სინამდვილესთან იყოს მტკიცედ დაკავშირებული. ამასათანავე ის უნდა ხასიათდებოდეს მეტი რაციონალური მიმართებით, მეტი აქტუალობათ. ახალი თემა მთლიანად გამომდინარეობს ახალი საზოგადოების სოციალურ მოთხოვნილებიდან. ახალი თემა მთლიანად ემყარება ახალი ცხოვრების რეალურ-კონკრეტიულ ამოცანებს. თუ რას ჰქვია ახალი თემა საერთოდ სოციალურად საჭირო პროდუქცია, მის გასაცნობად და გასაგებად საჭიროა იმ სოციალურ კულტურის და იმ სოციალურ ელემენტების შესწავლა, რომელიც დაკავშირებულია წარმოებასთან. წარმოებაში მათ შესასწავლად საჭიროა ტვინის შეწუხებაც ე. ი. პრინციპიალუ-

მუშა ახალგაზრდობის თეატრი მტკიცედ აკავშირებს მაყურებელს და სცენას. მუშა-მაყურებლის შემოქმედება, მისი კოლექტიური სულისკვეთება და ყოველ დღიური საჭირ-ბოროტო საკითხები ნათლად ესახება მის თეატრს.

მუშათა ახალგაზრდობის თეატრის წინაშე მეტად დიდი ამოცანები დგას: ის კულტურული რევოლიუციის ერთ-ერთი მძლავრი იარაღთაგანია, ის უნდა იქცეს მძლავრ იარაღად სოციალისტურ შეგნების, პროლეტარულ იდეოლოგიის განმტკიცებისა და ცხოვრების ახალ საფუძველზე მოწყობისათვის ბრძოლაში; მუშა ახალგაზ. თეატრი, როგორც ემოციონალური ზეგავლენის კატეგორია უნდა გახდეს სანიმუშო ფაქტორი ახალი ყოფა-ცხოვრების და ახალ იდეოლოგიის განმტკიცებაში. მან უნდა მოახდინოს მუშა ახალგაზრდობის ფსიხიკისა და შეგნების ორგანიზაცია; მის უშუალო მოვალეობას შეადგენს მხატვრული და მიზანშეწონილი პროპაგანდა იმ იდეებისა, რომელზედაც ახალი საზოგადოებრივობა უნდა აშენდეს. მისი ამოცანაა ალღო აუღოს მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრებას და სწორად მოგვცეს მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მუშა ახალგ. თეატრი თავის არსებობის აუცილებლობას მაშინ გაამართლებს თუ ის აღზრდის ახალგაზრდობას დღევანდელობის აქტუალურ მასალაზე დაყრდნობილ პროდუქციით.

ამგვარად, მუშა ახალგაზრდობის თეატრი უძლიერესი ფაქტორია მუშა ახალგაზრდობის აღზრდისა და ახალ საზოგადოებრივობის განმტკიცების საქმეში. იგი უძლეველი იარაღია ახალი ყოფის და კულტურის უხვად შეტანის მხრივ მასსებში. ახალი ყოფის, ახალი ადამიანის შექმნა უმოქმედობით ან ერთი დაკვრით არ შეიძლება. ამისათვის საჭიროა მთელი ჩვენი ძალ-ღონით სისტემატიური შებრძოლება ძველი ყოფის-ძველ ადათ-წესების, წინააღმდეგ ძველი და ახალი ყოფის დაპირის-პირებით. მუშა ახალგაზ. თეატრის ყოველი ახალი პროდუქცია თავის ორგანიზმის მთლიან ელემენტებით გარკვევით უნდა ლაპარაკობდეს ახალი ცხოვრების შესახებ, უნდა ეფარდებოდეს მშრომელთა მოწინავე ფენების ყოფა-ცხრვრებას და უნდა ამხნევებდეს მშრომელი საზოგადოების ჩამორჩენილ ნაწილს კულტურულ ცხოვრებისათვის საბრძოლველად.

და კიდევ: მუშა ახალგაზრდობის თეატრმა საღი, ფხიზელი აზრის განმტკიცების გზით ხელი უნდა შეუწყოს ახალი ყოფის, ახალი საზოგადოების, ახალი ადამიანის ფორმაციას. ახალი ადამიანი ეს ის არის ვინც მაღლა სდგას ბურჟუაზიულ მორალზე და ფსიქოლოგიაზე. ასეთი ადამიანი კი მხოლოდ ახალი იდეოლოგიის, ადა-

მიანთა ახალი ურთი-ერთობის, ახალი ეკონომიკის ნიადაგზე შეიძ-ლება აღმოცენდეს.

შეუძლებელია დღევანდელი მუშა მაყურებელის მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ ძველი დრამატურგიის მიერ მოცემული მასალით. ძველ დრამატიულ ფაქტურას ახასიათებს აბსტრაქტიულობა და აშენებულია გამოგონილ-ფანტასტიურ სიუჟეტებზე და ემყარება ინდივიდუალურ-ინტიმურ განცდების რომანტიკას. ჩვენთვის კი საჭიროა რეალური მასალა, რეალური ფაქტი, ყოველგვარ აბსტრაქტიულობის გარეშე. ყოველდღიური საბჭოთა სინამდვილე და პროლეტარული რევოლიუცია დაუშრეტელი მასალაა ახალი თეატრისათვის. საჭიროა მხოლოდ პრინციპიალური მიდგომა, გარჯის უნარი და სალი, ფხიზელი ტვინის ამუშავება. არ შეიძლება მუშათა ახალგაზრდობას მივსცეთ ისეთი ფაქტიური მასალა, რომელიც მოკლებულია აქტუალურ მნიშვნელობას. თეატრალურ მასალას მაქსიმალურად უნდა ახასიათებდეს დროს შეგრძნობა. ახალი ყოფა-ცხოვრება ჩამოყალიბების პროცესშია; თეატრალური პროდუქცია ან თეატრისათვის გამიზნული ფაქტიური მასალა, რომელიც აქტუალური იყო გუშინ—ხვალ უკვე ჰკარგავს თავის სიმძაფრეს. ახალი დრამატიული ნაწარმოები უნდა შენდებოდეს ახალ, თემატიურად აქტუალურ მასალაზე—კონსტრუქციის ახალი კანონების, ახალი ხერხების აღმოჩენის გზით. ნაცვლათ ბურჟუაზიულ თეატრის მიერ ყოველ დღიურ შრომით მოქანცულ მაყურებლის ილიუზიორულ განცდათა სამყაროში გადაყვანისა—სინამდვილიდან დეზერტირობის ხერხით, მუშა ახალგაზ. თეატრი პირდაპირ აყენებს მუშა მაყურებელს ამ ყოველ დღიურ სინამდვილის წინაშე. მუშა მაყურებელს არ ეშინია ამ სინამდვილის რადგან თვით არის მისი კარგისა და ავის გამომჭედი და ყოველ დღიურ იბრძვის უკეთეს სინამდვილის შესაქმნელათ. მუშა ახალგაზრდობის თეატრის დანიშნულებაა, რომ მის მიერ მოცემული პროდუქცია დღევანდელ სინამდვილესთან იყოს მტკიცედ დაკავშირებული. ამასათანავე ის უნდა ხასიათდებოდეს მეტი რაციონალური მიმართებით, მეტი აქტუალობათ. ახალი თემა მთლიანად გამომდინარეობს ახალი საზოგადოების სოციალურ მოთხოვნილებიდან. ახალი თემა მთლიანად ემყარება ახალი ცხოვრების რეალურ-კონკრეტიულ ამოცანებს. თუ რას ჰქვია ახალი თემა საერთოდ სოციალურად საჭირო პროდუქცია, მის გასაცნობად და გასაგებად საჭიროა იმ სოციალურ კულტურის და იმ სოციალურ ელემენტების შესწავლა, რომელიც დაკავშირებულია წარმოებასთან. წარმოებაში მათ შესასწავლად საჭიროა ტვინის შეწუხებაც ე. ი. პრინციპიალუ-

რი ჩამოყალიბება აზრების და შეხედულებების, რომ სწორად ვაარჩიო თუ რა. არის საჭირო და რა არის უსარგებლო.

აქვე უნდა ითქვას, რომ არ კმარა მარტო წარმოების და მუშათა ყოფა-ცხოვრების, მისი ფსიქოლოგიის შესწავლა, აგრეთვე საჭიროა ამ ახალი მასალის მოსაცემად გამონახულ იქნას ახალი მეთოდი, აღმოჩენილ იქნეს ახალი მხატვრული ხერხი. ახალი მასალის მოცემა ძველი ხერხით უნაყოფოა — იგი ვერ ახდენს სასურველ ზეგავლენას მაყურებელზე და ნაკლები დაჯერება აქვს.

მუშათა ახალგაზრდობის თეატრს სპეციალური დანიშნულება აქვს. მას გარკვეული აუდიტორია ყავს. ამიტომ ეს თეატრი გარკვეულ პოლიტიკურ ჩარჩოებში უნდა ჩაისვას, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ისე, რომ არ დაზარალდეს თეატრის მხატვრული ღირებულება. ამ ორ მომენტს შორის აგიტაციასა და მხატვრულ მოლიანობის შორის უნდა მონახულ იქნეს სინთეზი. საჭიროა გამონახულ იქნას, არა მარტო პოლიტიკურად მისაღები მასალა, არამედ აგრეთვე ამ ახალი მასალის დემონსტრაციის ახალი ფორმალური ხერხი. საბჭოთა სინამდვილის მიერ განახლებულ ცხოვრების მოსაცემად საჭიროა ახალი ფორმების ძიება, ახალი ხერხების აღმოჩენა, რომ არ მოხდეს უთანხმოება მასალის და მისი ჩვენების ხერხებ შორის.

კულტურული რევოლიუცია, რომელიც შეიცავს — კულტურის ძირეულ რეკონსტრუქციას და მის შინაგან გარდაქმნას, მუშა ახალგაზრდობის თეატრის წინაშე აყენებს საკითხს ძველ ესთეტიური ტრადიციების დაშლის და პროლეტარიატის კლასიური ინტერესების თვალსაზრისით ახალ მასალის, ახალ ფორმალურ ხერხების გამომუშავების აუცილებლობას. ამიტომ ახალ რეჟისორის მნიშვნელობა მუშა ახალგაზრდობის თეატრში, საზოგადოებრივ — სოციალური როლის გარდა, გამოიხატება სცენიურ ექსპერიმენტებისადმი სისტემატიურ ლტოლვაში. ახალი რეჟისორი დააკმაყოფილებს ახალ მაყურებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის მთლიანად დაეყრდნობა მასალის სოციალურ მხარეს და პარალელურად მიდის გაბედულ მიზან შეწონილ ექსპერიმენტების გზით. მაგალითად ექსპერიმენტები: **მარჯანიშვილის, ვახტანგოვის და მეიერხოლდის,** იშვიათად თუ იმეორებდნენ წარსულს. მასალის მოცემის ფორმალური მხარე მისი გამომხატველობის ხერხები ყოველ-დღიურათ უმჯობესდება. ის საშვალებები, რომლებიც დღეს კარგათ არის მიჩნეული, ხვალ პრიმიტიულ ჩარჩოებში ემწყვდევა, ზეგ-კი იძულებულს ხდის რეჟისორ-ექსპერიმენტატორს შეინახოს არხივში, როგორც წარსულის მოგონება.

რასაკვირველია, ძველი თეატრის ტრადიციებით გაჟღენთილ „სპეცებს“ არ ძალუძთ შექმნან ის რასაც ეწოდება **მუშა ახალგაზრდობის თეატრი.** ამ საქმისათვის საჭიროა ახალი, ფხიზელი კულტურული ძალები, რომელთა უშუალო მოვალეობას შეადგენს ძველი თეატრის ნანგრევებზე ახალ საღ და საჭირო საქმის აშენება.

მუშა ახალგაზრდობის ორგანიზაციული აქტიური — უშუალო მონაწილეობა ამ ახალი საქმის აღმშენებლობაში, — აი რა უნდა იყოს ჩვენი კომკავშირულ ახალგაზრდობის ამოცანა და მიზანი, აი ლოზუნგი, რომელიც არ ითხოვს დაყოვნებას.

ყოველივე ზემო ნათქვამი ვალად გვხვდის ყურადღებით მოვეკცეთ ამ მეტად საჭირო და სინტერესო საქმეს, რომელიც წამოწყებულია საქართველოს კომკავშირის ინიციატივით.

შალვა რადიანი

კალე ფეოდოსიშვილი

კალე ფეოდოსიშვილი პროლეტარულ ლიტერატურის მოწინავე რიგებში წამოაყენა არა ფორმლუარმა სრულყოფამ (რაშიაც ის ხშირად კიდეც მოისუსტებს), არამედ სულ სხვამ: მის ლექსებში არის ის პათოსი და სილრმე, რომელიც ლექსს ქმნის პოეზიათ; საკითხები რომელსაც ეხება თავის შემოქმედებაში კალე ფეოდოსიშვილი არის თანამედროვეობის დამახასიათებელი შინაარსი და არა ვიწრო-პირადული, ინდივიდუალური პრობლემები; და კიდევ: ორგანიული კომუნისტური მსოფლ-ათვისებით არის მოცემული კ. ფეოდოსიშვილის ლექსებში თანამედროვე რევოლიუციონური ცხოვრების ყოველი დეტალი, ყოველი პატარა ფაქტი.

ძირითადი იდეური გზნება კ. ფეოდოსიშვილის პოეზიისა არის ყოველგან და ყოველთვის თავის შეგრძნობა, როგორც რევოლიუციონერის და მებრძოლის. მასში მოსჩანს ბოლშევიკის პრიმატი, არა თუ მარტო პოეზიაში, არამედ ცხოვრების ყოველი მოვლენის გაგების მიმართაც.

> მე გადავწყვიტე მთლიანი გულით,
> ახალი ქვეყნის დავრჩე ერთგული...
> მე მამას მოვკლავ დავახრჩობ დედას
> რევოლიუციამ თუ კი მიბრძანა.
>
> („ქალაქის ბაღში“).

ამ სიტყვებში რამოდენიმეთ ჰიპერბოლას აქვს ადგილი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მასში გარკვეულად არის მოცემული პროლეტარული მებრძოლის ეთიკა, მისი ცხოვრების და მოქმედების გეზი; ამ სტრიქონებით კ. ფეოდოსიშვილი გარკვეულ განწყობილების და იდეიის პოეტათ გვევლინება; ეს სიტყვები მაქსიმალურათ ამტკიცებს დისციპლინას ჯანსაღი და აღფრთოვანებული სულიერებისა, რომელიც მოგვიწოდებს ენერგიული ბრძოლისაკენ და მუშაობისაკენ.

კ. ფეოდოსიშვილს აგრეთვე კარგათაა აქვს შეგნებული, რომ „ჩვენი სიცოცხლე აღტაცება და სიხარული—ოქტომბერი და ლექსებია ამხანაგო. რევოლიუციას, მილიონ ხალხს ემსახურება ჩვენი სიტყვა, ჩვენი კალამი... ყოველი ბიძგი ჩვენს გულს მეტად ამხიარულებს და პოეზია ჩვენთვის ბრძოლის იარაღია“ (ამხანაგ ბეზიმენსკის). აქაც მებრძოლი პოეტის მთელი მსოფლმხედველობა, მსოფლმისწრაფებებია გადმოშლილი. თანამედროვე პროლეტარული პოეზიაც ხომ ამ ლოზუნგის ნიშნის ქვეშ მიიმართება უმაღლესი შემოქმედებითი მწვერვალების დასაპყრობათ...

აღსანიშნავია, რომ კ. ფეოდოსიშვილი ძლიერ არის შეყვარებული პოეზიის ერთ-ერთ სახეობაში: ეს არის მარში და ოდა. განსაკუთრებით ბევრი აქვს მას ოდა. ასე რომ ის თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ტიპიურ პროლეტარულ ოდათა მწერლათ.

როგორც ოდათა მწერალი კ. ფეოდოსიშვილი მსოფლიოს ყოველ ნაწილში იჭრება და იქ ახდენს თავისებურ რევოლიუციას. თავის ოდებს ის უძღვნის თანამედროვე ცხოვრების ყოველ მოვლენას: ოქტომბერს, ლენინს, ელექტროფიკაციას, ქარხანას, სოფელს, პირველ მაისს, მებრძოლ ქალს და სხვა.

რაკი კ. ფეოდოსიშვილი უმთავრეს ყურადღებას ოდებს აქცევს ამიტომ ის იშვიათად არის ემოციონალურ-ლირიული. მისი ემოცია ყოველთვის ახლოა სიტყვის ორატორულ პათოსთან. თვით უკიდურეს ლირიულ მოვლენებსაც (მაგ. სიყვარულს) ის ორატორულ სამოქალაქო პათოსით უპასუხებს. ამიტომ მისი საყვარელი ტიპი მებრძოლი ადამიანისა არის სწორედ ორატორი:

— ამხანაგებო,—ისმის სიტყვა.
და ყველას ძარღვში
ელექტრონივით დაურბენენ
ბრძოლის განცდები;
გამოცდილია ორატორი.
(ეტყობა ხმაში)
არ ეძნელება გადმოცემა
გულის ნადების..,

(„ორატორი“)

კ. ფეოდოსიშვილის ლექსებში თითქმის არც კი არის სინან

და სირბილე, სამაგიეროდ მას ბევრი აქვს ამაღლებული და აღფრ
თოვანებული განწყობილება; ის ყოველთვის ცდილობს რევოლიუ-
ციონური მოვლენა გააშუქოს დამაჯერებელი ტონით: ამ-
ტო ფართო მნიშვნელობის მოვლენებს ღებულობს ის
მედებითი თემატიკისათვის, არამედ ჩვენი აღმშენებლობის ყოველ-
დღიურ საკითხებსაც არ სტოვებს უყურადღებოდ, ეს იმიტომ რომ
მას სჯერა ყოველდღიურობა ისეთივე პოეტური და მიმზიდველია,
როგორც „მარადიული" მოვლენები.

როდესაც კ. ფეოდოსიშვილი უკვირდება საბჭოთა ქვეყნების
სინამდვილის სირთულეს და სიძნელეებს, როდესაც ის რევოლიუ-
ციის მტკიცე ოპტიმისტისაგან და ურყევ „რომანტიკოსისაგან" რომ-
ლისთვისაც უცხოა მერყეობა და წინააღმდეგობენი, ხდება „დაფიქ-
რებულ" ადამიანად, მაშინ ის კარგად ხედავს პროლეტარული რევო-
ლიუციის მძიმე გზას ჩვენი ცხოვრების თანამედროვე პირობებში.
„ეხლა ზარბაზნები აღარ მეტყველებენ და პირველ რიგზე სდგას
ჩაქუჩი, კალამი; მარჯვედ მოძრაობენ ათასი ხელები, რომ ყველას
დაუხვდეთ ღირსეულ სალამით. გუშინ თუ ვიბრძოდით ასე გატა-
ცებით დღეს ცხოვრების სიღრმე უფრო მეტს გვავალებს, ბევრჯერ
მოირწყვება სისხლით ჩვენი გზები, რომ უზრუნველყოთ კარგი მო-
მავალი. („თებერვლის დღეები").

ლექსი „ჩემი სიტყვა" საუკეთესოდ ამტკიცებს რომ პოეტს
კარგათ აქვს შეგნებული რევოლიუციონური მოძრაობის პერსპექ-
ტივა:

> მე აქ მოვედი როცა ჭუჩებს ჭონდათ ბრძოლები,
> ჯანსაღი სისხლი იღვრებოდა კომუნარების
> და საქართველო წითელ ვარსკვლავს გულზე იფენდა
> მეც ახალგაზრდა იმათ შორის ვპოვე ადგილი.
> და ჩემი გული გადავეცი მილიონ მასას,
> საბჭოთა ქალაქს განახლებულ სიცოცხლით მფეთქავს.

პროლეტარულმა რევოლიუციამ ცხოვრების ფერხულში აქტი-
ურად ჩააბა ქალებიც, რომელნიც მრავალი საუკუნოების განმავლობაში
დაჩაგრულნი იყვნენ, გაუნათლებლობაში და სიბნელეში ცხოვრობდენ.
ჩვენ პოეტსაც ყოლია სწორედ ასეთი დედა, მაგრამ რევოლიუციამ
თანამედროვეობის რიგებში დააყენა: პროლეტარიატის ხელისუფ-
ლებამდე ის წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ამ უკანასკნელმა მას
საშუალება მისცა წერა-კითხვის შესწავლისა. პოეტი დედისაგან წე-
რილს ღებულობს, რაც მას დიდათ ახარებს:

ო, სიხარულო.
ქარზე უფრო გაინავარდე...
ის, ვინც ნახშირით მოიხაზავდა უქმეთა დღეებს
კედელზე ისე,
რომ დახლართულ ტყის ტოტებს გავდა,
დღეს მე წერილს მწერს:
მატყობინებს საბჭოს არჩევნებს;
თუ როგორ გახდა თავმჯდომარე სოფლელი ქალი,
თუ გაშლილ ველზე კინომ როგორ აჩვენა
დასაფლავება ლენინის და ბრძოლების ალი...

(„წერილი დედისაგან")

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო მუშათა კლასის კლასიურ დღესასწაულს—პირველ მაისს სოფელიც ზეიმობს. „ამ პირველ მაისს—შრომის სიხარულს და აღტაცებას მილიონების ქალაქთან ერთად გულით შეჰხარის ამწვანებული სოფლის ველები"... სოფლად მშრომელ გლეხობასაც აქვს შეგნებული პროლეტარული რევოლიუციის დიადი მიზნები:

აქ ბევრმა იცის ვინ იყო ლენინ.
და თუ რას ნიშნავს საბჭოთა დროშა,
აქ ბევრმა იცის გული ლენინის
რომ მსოფლიოში სხვა გულათ მოსჩანს.
დღეს გაშლილ ველზე ხის ტრიბუნიდან
ხსნის ისტორიას პირველ მაისის
ადგილობრივი სოფლის ტრიბუნი
და შეჩერდება ბოლოს ზაჰესზე.
მოუთხრობს მიტინგს, შრომის ხელები.
ბუნების ძალებს როგორ სწურავენ;
ღამეებს როგორ აქცევს დღეებათ
წყლით მიღებული მზის სიმხურვალე.

(„მაისობა სოფლად").

პოეტი ქალაქიდან მიემგზავრება სოფლად. იქ ის ნახულობს ყველაფერს გადახალისებულს. „აქ, სადაც ძველად ვინმე ოხერი გლეხებს მათრახით მზეს უბნელებდა, დღეს კომკავშირი კითხულობს ლენინს, —„მზათ ვართ ყვირიან პიონერები". დღეს სოფელი ახალი გზით მიემართება: „მიწას ბურღავენ, უკვე ტრაქტორით, სოფლის ცხოვრებას ყავს მოდარაჯეთ მახვილი კალმით ჩვენი გლეხკორი. „სოფელშივეა ქოხ-სამკითხველო, კლუბი თეატრი. ყველა ამის გაკეთება პროლეტარული რევოლიუციის შემწეობით შეიქნა შესაძლებელი. კ. ფეოდოსიშვილს სოფელი ქალაქის მოკავშირეთ მიაჩნია. მისთვის საშუალო და ულარიბესი გლეხობა მუშათა კლასთან ერთად წარმოადგენს უდიდეს რევოლიუციონურ ძალას, აგრეთვე პოეტს ისიც კარგად

აქვს შეგნებული, რომ ქალაქი, მუშათა კლასი არის სოფლის, გლეხობის ხელმძღვანელი ძალა:

თუმცა შორსაა ჩვენგან ქალაქი,
მაგრამ მისი მზე აქაც ანათებს
მიყვარს ქალაქი სიცოცხლით სავსე,
მიყვარს ქალაქი შრომის უბნებით,
მე ახალ სოფელს მაინც ვაფასებ,
მე მას ქალაქთან შევავუღლებდი.

(„საბჭოთა სოფელში").

კ. ფეოდოსიშვილის სხვა ლექსებიდან აღსანიშნავია: „წერილი ამხანაგს". „ამხანაგი" და სხვ. მათშიაც პოეტი აღფრთოვანებული განწყობილებით იძლევა ჩვენი თანამედროვე რევოლიუციონური ცხოვრების სხვა და სხვა მხარეების მხატვრულ გაშუქებას.

პოეტი აღფრთოვანებულია ჩვენი დღეებით:

მაშ, დღეს დროშები ავსწიოთ მაღლა
და მივესალმოთ ანთებულ დღეებს
დღეს აღტაცება ყველგან თან ახლავს
ბრძოლაში გაშლილ სულის ზნეობას.

(„წერილი ამხანაგს").

რასაკვირველია. კ. ფეოდოსიშვილი არ ეკუთვნის იმ მწერლების რიცხვს, რომელთაც არ ახასიათებს ნაკლი. მას საკმაო ნაკლი აქვს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კ. ფეოდოსიშვილს ხშირად ახასიათებს გადაჭარბებული „კაზიონური" ოპტიმიზმი. და მართლაც, ის მიისწრაფის იქითკენ, რომ გადმოგვიშალოს ჩვენი ყოფის მხოლოდ საზეიმო მხარეები. ის ყველაფერს უბრალოდ უყურებს. მისთვის ცხოვრება მხოლოდ ერთი დონის და სისწორისაა. მაგრამ ეს სინამდვილეში ასე არ არის. ცხოვრება რეალობაში არც ისე მარტივი და ერთფეროვანია. მაში მრავალი კუნჭულები, ხვეულები, შორეული ადგილებია. საჭიროა იქაც ჩახედვა. გამოდის კი ისე, თითქოს კ. ფეოდოსიშვილი შეგნებულად ხუჭავს თვალებს ცხოვრებაში არსებულ სიძნელეების და წინააღმდეგობების დანახვაზე. აგრეთვე პოეტი თითქმის არც ეხება ამ წინააღმდეგობებს; ან თუ ეხება ცდილობს გადაწყვიტოს ის უმთავრესად პათოსით. რასაკვირველია, ეს არ არის უბედურება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პათეტიკიდან პირდაპირი გზა მიემართება რიტორიკისაკენ. და სიმართლე უნდა ვაღვიაროთ, რომ ზოგჯერ განსაზღვრული რიტორიკა მოსჩანს კ. ფეოდოსიშვილის ლექსებში.

ზოგჯერ კ. ფეოდოსიშვილის ორატორული განწყობილება „ყალბ" და მეტად „გამომშრალ" პათოსში გადადის. მსგავსი ტიპის

ლექსებს ორატორული აკცენტიროვკით შთაბეჭდილების მოახდენა შეუძლია მხოლოდ ესტრადიდან, მაგრამ ისინი მკრთალდებიან, როდესაც ნელა, დაფიქრებული და გრაფიულად კითხულობთ მათ.

კ. ფეოდოსიშვილის შემოქმედების ნაკლს ეკუთვნის აგრეთვე: ზოგჯერ რითმის პროზაულობა, სახეების მოუქნელობა, ძრიელ სიტყვაობა, გაჭიანურებული მსჯელობანი და სხვ.

საბოლოო დასკვნა კ. ფეოდოსიშვილის შემოქმედების შესახებ ასეთი იქნება:

მისი სახით ჩვენ გვყავს მტკიცე და მნიშვნელოვანი პროლეტარული პოეტი.

უდავოა, რომ ის ნიჭიერი, რევოლიუციონური მწერალია, რომ მისი შემოქმედება მთლიანად თანამედროვეობას უპასუხებს და სხვ. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მას არ მოუცია იმდენი რამდენიც შეუძლია და რამდენსაც ველით მისგან.

საჭიროა მეტი ენერგიით იმუშაოს კ. ფეოდოსიშვილმა პროლეტარული ლიტერატურის ფრონტზე.

ბიბლიოგრაფია

„პროლეტარული მწერლობა“ № 1 საქარ. პროლეტმწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფ. პერიოდიული ორგანო—1928 წ. 110 გვ. ფ.—50 კ.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის განყოფილებები დიდი ხანი არაა რაც ჩამოყალიბდენ ქუთაისში, ბათომში, სამხრეთ ოსეთში, სოხუმში და სხვ. და ერთის მხრივ, ამ მიზეზითაც მათი **პირველი ბეჭდითი გამოსვლა**, რასაკვირველია სუსტი იქნება. ქუთაისელ ამხანაგებს ეს მომენტი გათვალისწინებული აქვთ, როდესაც კრებულის ბოლოსიტყვაობაში გარკვეულად აცხადებენ: „ჩვენ ქუთაისის პროლეტარულ მწერალთა ჯგუფსაც გვინდა წვლილი შევიტანოთ საერთო შემოქმედებით სალაროში. პირველი ნაბიჯია ჩვენი კრებული. სავსებით შეგნებული გვაქვს, რომ როგორც საერთოდ, ისე ჩვენს შემოქმედებაშიაც არ არის ჯერ მომხდარი ყოველმხრივი კულტურული რევოლიუცია მთელი თავისი სიღრმით. **ჩვენი ახალგაზრდა ძალების უმრავლესობა დაუმუშავებელია**; მაგრამ გაძლიერებული მუშაობა **სწავლის, შემოქმედების და თვით კრიტიკის** ნიშნის ქვეშ და მუშურ-გლეხურ მკითხველის თანაგრძნობა და დახმარება გვაძლევს მტკიცე იმედს, რომ გადავლახავთ ყველა დაბრკოლებებს“ ჩვენც გვჯერა, რომ ჩვენი საქმიანობის სუსტ მხარეების დანახვა მომავალ გამარჯვების გარანტიაა.

პოეზია:

შადრევან რუმბებს ჭიხვინი გააქვთ ფაშატი კვიცის (ანაზარდი)
აეშვება დაღლილ გულში
შადრევანად შვების ვარდი;
კომუნიზმის მზის სხივებით
გაქარწყლდება ეკლნარ—ვარდი (ვ. კიკვაძე)
თ უ ჯ ი ს ვ ე შ ა პ ი ფ ო ლ ა დ ი ს რ ქ ე ბ ი თ
ამუშავდება უ ტ ყ უ ა რ ღ ვ ე დ ი თ
მ კ ლ ა ვ ე ბ ს რიონის ჰ ე ს ი გ ა დ ა ხ ვ ე ვ ს
შეთანხმებულად ტ რ ა ქ ტ ო რ ი ს ს ა ყ ვ ი რ ს;
და ენერგიას არეს გადასცემს,—
ორივე ერთად დ ა უ ვ ლ ი ს დ ა ვ ლ უ რ ს (გიასელი)
მაგრამ ტრაქტორი მიმოგრიალებს
ყამირ მიწაზე რ კ ი ნ ი ს ხ ა რ ე ბ ა დ
ჯერ თფილისივით თუმც არ ღრიალებს

ქარხნის საყვირი რ კ ი ნ ი ს ჯ ო გ ე ბ ა დ (პ. რობაქიძე)
ისმის ყ ვ ი რ ი ლ ი თამბაქოს ქარხნის
ი ქ ა ტ ო რ ბ ე ნ ა ქუჩაზე ავობს
ს ა დ ა ც გამოყავთ ლეჩქოფის არხი. (კ. ბობოხიძე).

მართალია ძალზე დავამძიმეთ მკითხველის ყურადღება მოცემულ ამონაწერებით, მაგრამ ეს საჭიროა მეტი კონკრეტულობისათვის. რას გვეუბნებიან ჩამოწყობილი სტროფები? უპირველეს ყოვლისა იმას, რომ პოეზია **ბოდვა** როდია, რომ პოეტური ენაც გარკვეულ კანონებს ემორჩილება და აზრობრივი ღირებულება აქვს. დეე, ყველამ გაიგოს ის ელემენტარული ჭეშმარიტება რომ სიტყვა გარკვეულ მნიშვნელობას ფრაზაში იღებს (კონტექსტი), უტილიტარული მოვლენაა და ამიტომ ის რაციონალურად გამოყენებულ უნდა იქნეს.

წარმოგიდგენიათ ასეთი სურათი, როდესაც **რიონჰესი** ტრაქტორის **საყვირს** მკლავებს გადახვევს და ორივე ერთად **დავლურს დაუვლიან?!** ანდა **ტრაქტორი** თუჯის **ვეშაპი** ყოფილა, რომელსაც თურმე **ფოლადის რქები** აქვს. მხატვრული აზროვნების ის უკულტურო და ყალბი ნიმუშები, სიტყვისადმი არა საგნობრივი დამოკიდებულება, აზრობრივი მომენტის უპატივისცემლობა მონური წარსულის უბადრუკნი მემკვიდრეობაა. ულოღიკობა, უგეგმობა და ნახტომები ისევე მიუღებელია თანადროულობისათვის, როგორც ტრაქტორის თუჯის ვეშაპთან შედარება.

აზროვნების ბუნდოვანობა, გაუმართავი სტროფები, განწყობილებათა შეუკვრელობა, შაბლონური ფრაზები და შტამპი, პოეტური ლექსიკის სიღარიბე, გრამატიკული ბარბარიზმი, სიტყვიერი მასალის არა უტილიტარული და რაციონალური გამოყენება და სხვ. უსათუოდ ნიშნეულია ქუთათურ „პროლეტარული მწერლობისათვის“.

ასე, რომ პოეტური ფაქტები თემატიურად დამაკმაყოფილებელია (ლექსები შრომის პროცესებზე და აღმშენებლობაზე), მაგრამ ფორმალური შესრულების მხრივ ძალზე სუსტი. ლექსების მოცემულ მასაში მხოლოდ ვ. ბესოშვილის, უსათუოდ ღირებული ფაქტი: „საგრენაჟო“, ილ. ხოშტარიას: „მეთოთხმეტეჯერ დავირაზმებით“, იამანიძის: „ჩვენ“ და პ. რობაქიძის: „საპასუხო ბარათი“ გამოირჩევა; დანარჩენი მასალა კი, როგორც ლიტერატურული პროდუქცია კრიტიკის გარეშე სდგას.

მხატვრული პროზა. (იხ. „მეველე“, „მათე“ და „სარა“) თემატიურად დამაკმაყოფილებელია, ხოლო აშენებულია ძველი პროზაული ხერხებით. მაგ. დია ჩიანელის მოთხრობა: „მეველე“ არაა ინტერესს მოკლებული თემატიურად, მაგრამ მხატვრული კონსტრუქციის

მხრივ უვარგისია. ვიმეორებთ: ჩიანელის ფაქტი ძველი მხატვრული მეთოდებითაა შესრულებული. მხოლოდ ერთი განსხვავებით: ტრადიციული მხატვრული პროზის წარმომადგენლები უფრო მონდომებით და ოსტატობით მუშაობენ ნედლ მასალაზე, ვიდრე დია ჩიანელი. მოსაზრების გასამაგრებლად მოვიყვანთ ზოგიერთ ნიმუშებს: „მთვარე მოსრიალდა თეთრი ეტლით ცაზე და ვარსკვლავები ება ცხენებად და ლრუბლები სადავეებად... გასრიალდა... შეჩერდა: თითქო თეთრ ლოგინზე გაწვა და გაიზმორა“!..

2. „**ტირიფები** ხანის წყლის ლურჯ ტალღებში **მორცხვი ქალებივით** იცქირებოდენ... **სიმინდით დაფენილი ველი** კი ათქვირებულ ტაროებით **იზმორებოდა მწიფე ქალივით**, შრიალებდა და ელოდა **გავსებას, დამწიფებას, შეხებას, ძალადობას** და **გაშიშვლებას** თეთრი სამოსით, საიდანაც გამოჩნდებოდა თეთრი ტანი—კისკისა და ზეთიანი“... და სხვ.

თქმულის გარდა დამახასიათებელია ჩიანელისათვის **სიმბოლისტური ჩვევაც**. ჩიანელის სიტყვიერი მასალა, სახეები და სხვ. გარკვეულად სექსუალური რიგისაა. სექსუალური დამოკიდებულება კი „ყველაფრისადმი“ თავის საფუძვლებში დეკადენტური რიგის მოვლენა.

თეორია და კრიტიკა საერთო ხასიათის სტატიებითაა წარმოდგენილი. ამხ. ცაგარეიშვილის წერილი: „პროლეტმწერლობა და **მისი მაოცანები**“ თეორიული რიგის ცოდვებითაა დამძიმებული: მხატვრული ლიტერატურის რაობის ცაგარეიშვილისებური (ე. ი. **იმაჟინისტური**—ვ. ლ.) გაგება მოძველებულია და პროლეტარული მწერლობისათვის მიუღებელი. სწორი არაა, არც ის მოსაზრება, თითქოს ოქტომბრის რევოლიუციის XI წ. თავზე, ძველი ყოფაცხოვრების რეკონსტრუქციის პერიოდში „**სჯობს მხატვრულად მდარე ვწეროთ, ვიდრე სულ არა ანდა იდეოლოგიურად გაუმართლებელი**“. ასეთი როდია ჩვენი **ამოცანები**? დღეს პროლეტარული მწერლობის ცენტრი **შემოქმედებითი პრობლემებია** და ცაგარეიშვილისეული რეცეპტი ათი წლით უკან დასწევდა იდეოლოგიურ-ლიტერატურულად ზრდაში მყოფ პროლეტარულ მწერლობას.

დასასრულ საჭიროა აღინიშნოს, რომ ქუთათური „პროლეტარული მწერლობა“ საზოგადოებრივ—ლიტერატურულად უფრო ღირებული მოვლენაა, ვიდრე ბათომის „სიტყვა ტრიბუნიდან“.

ვ. ლუარსამიძე.

ჟურნალი „ქართული მწერლობის“ ეს ნომერი წარსულ ნომრებთან შედარებით იძლევა თანამედროვეობასთან უფრო დაახლოვების რამოდენიმე ნიმუშს. თუ წინათ ჟურნალი მხოლოდ მოწინავეებით აცხადებდა პრეტენზიას თანამგზავრულ მისწრაფებებზე, მაგრამ სინამდვილეში კი მხატვრული პროდუქციით, უმთავრეს შემთხვევაში იძლეოდა თანამედროვეობისათვის გაუმართლებელ ფაქტებს.

მსგავსი შეუთავსებლობა საგრძნობლათ აცილებულია ჟურნალის ამ ნომერში, რაც რასაკვირველია, სასურველია მომავალში უფრო გაძლიერდეს.

ჟურნალი იხსნება **ს. ხუნდაძის** წერილით — თანამგზავრობის საკითხზე ქართულ ლიტერატურაში („თანამგზავრობის საკითხი ქართულ ლიტერატურიში“) ეს ის საკითხია, რომელსაც ყოველთვის გვერდს უვლიდა ეს ჟურნალი და განსაკუთრებით კი მისი იმ სახით დაყენებას, როგორც ეს ს. ხუნდაძის წერილშია მოცემული. წერილი პრინციპიალურად ახალს არაფერს არკვევს, გარდა იმისა, რომ ერთხელ კიდევ სერიოზულად აყენებს ამ კარდინალურ საკითხს ქართული მწერლობის წინაშე.

როგორია ჟურნალში მხატვრულ ფაქტების მიხედვით „გადახალისების“ ტენდენცია? რასაკვირველია, ეს არც ისე შესამჩნევია.

ვ. გაფრინდაშვილის ლექსი პოემიდან **„პური და სიტყვა“**, შედარებით მის წარსულ ლექსებთან, უსათუოდ ახალი თემატიური შინაარსის ლექსია.

თუმცა პოეტი ისევ „მიწისკენ“ გადახრის რკალშია მოცქერალი, სადაც არა დამაჯერებლათ, მაგრამ მაინც ნაჩვენებია თვით ამ განწყობილებებში ერთგვარი გარდატეხა:

> მე არ მიზიდავს ლურჯი ყვავილი,
> ხრიზანტემები ვაზების ყდაში,
> მწყურია ენახო პურის თაველი
> და ვიბანავო ჯეჯილის ზღვაში.

საერთოდ ამ ლექსის ძირითადი განწყობილება ორგვარი შრომის, „პურის და სიტყვის“ ძმური დიდების თემაა.

ნ. ლორთქიფანიძე წარმოდგენილია დაუმთავრებელი მოთხრობის ნაწყვეტით **„შელოცვა რადიოთი“** მაგრამ მოთხრობის მასალა სუსტია, მიუხედავათ იმისა, რომ ის დაწერილია ლორთქიფანიძისათვის დამახასიათებელი მხატვრული ოსტატობით.

გამოურკვეველი ხასიათის ნაწარმოებია **ს. შანშიაშვილის** პოემა თუ ლექსი **„განვლილი შარა“** მარტო ის ფაქტი, რომ ეს ნაწარმოე-

ბი დაწერილია ძველი, გაუმართლებელი ხერხებით, არ იძლევა არავითარ ესტეტიურ შემოქმედებას, მიუხედავათ იმისა, რომ მასში ბედმეტ პირად ცხოვრების და ლიტერატურულ ანეგდოტებთან ერთად ახალი სააღმშენებლო განწყობილებების გადმოცემის ცდაა, მაგრამ მასში ახალი განწყობილებები, მოცემული მკვდარ ფორმებით, აი მაგრა კარიკატურულ და კურიოზულ მდგომარეობაშია:

ამიტომ იყო დავამტვრიე ნაზი ჩონგური
ჩემს წინ სანთურზე ჩამოვბიე ჭრელკაბა მუზა

„ჭრელკაბა მუზებით" „ჩონგურებით" და კურიოზული „რიჟაპომოგვაის" მხატვრული აზროვნების მწერალი, უსათუოდ ჩამორჩენილი მწერალია, და არ შეიძლება იდგეს ეპოქის მოწინავე მწერლების რიგში. მიუხედავათ თუ გინდ ასეთი განცხადებისა:

ბრძოლამ თუ არგუნა დიქტატურა პროლეტარიატს
და მეც მის ტალღებს შევერიე უკვე ნაწრთობი.

გ. ცეცხლაძის „ოთხი მაუზერი" უსათუოდ ორიგინალურია. იგი გურიის რევოლიუციონური მოძრაობის თავისებურ საინტერესო მასალაზეა აგებული.

ს. ჩიქოვანის პოემაში, **„ბედი რესპუბლიკა"**, რომლის პირველი ნაწილის მეორე კარია აქ წარმოდგენილი. მხატვრულ მასალათ აღებულია მენშევიკური რესპუბლიკის ტრაღედია, მისი უკანასკნელი სინამდვილის ბედი. პოემა დაწერილია ქართული ტრადიციული ლექსის საწინააღმდეგო ხერხებით, მასში არის კარგი მხატვრული დეტალები.

დანარჩენი ლექსები თითქმის ყველა სუსტი და უფერულია.

პროზაში გრძელდება **გ. რობაქიძის** რომანი **„ფალესტრა"** რომელიც წმინდა ბურჟუაზიული რომანის ხასიათით ვითარდება და იძლევა უფრო ხალტურული ნაწარმოების შთაბეჭდილებას, ვიდრე რაიმე ახალ ორიგინალურ ნაწარმოებისას.

ჟურნალში წარმოდგენილია **დ. შენგელაიას** ახალი რომანი **„ბათა ქექიას"** ერთი ნაწილი, რომლის შესახებ ჯერ-ჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება.

ბ. მელიქიშვილის მოთხრობა **„სალთუჯი"** დაწერილია მისთვის ნიშნეული მანერით და ორიგინალური კომპოზიციით, მაგრამ მოთხრობის წაკითხვას ხელს უშლის მძიმე ქართული ენა და არა თანადროული თემატიური მასალა.

ჟურნალში მხატვრულ პროდუქციაზე, უფრო საკმაო ადგილი დათმობილი აქვს კრიტიკა-პუბლიცისტიკის განყოფილებას. რაც ჟურნალს განსაკუთრებულ ცოცხალ ხასიათს აძლევს.

ამ განყოფილებაში წარმოდგენილია **ს. დანელიას** ვრცელი წერილი **ჩერნიშევსკის ესტეტიკის შესახებ**, („ჩერნიშევსკის ესტეტი-

კა"). მისი მიზანია გააცნოს საზოგადოებას ამ მოაზროვნის მოღვაწეობა და მისი ლიტერატურული შეხედულობანი, მაგრამ წერილში მრავლად არის გაბნეული მისი დამწერის იდეალისტური მოსაზრებები.

ბ. ულენტის წერილი **„ახალი დრამატურგიისათვის"** შეიცავს თანამედროვე ქართულ დრამატურგიული მწერლობის მდგომარეობის ანალიზს და მის პარსპექტივას.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ **ს. ამაღლობელს** („კრიტიკის ამოცანები"), რომ ჩვენში სუსტია კრიტიკა და მით უმეტესად კინო, სათეატრო კრიტიკა, სადაც ხშირად ბევრ შეცდომებს აქვს ადგილი, მაგრამ უკიდურესი დასკვნების გამოტანაც აქედან შეუძლებელია, როგორც ამას ავტორი ჩადის.

ცარიელი პრეტენზიების მატარებელია, თავისი მყვირალა სათაურებით **ბ. გორდეზიანის წერილი „როგორ კეთდება ახალი ხელოვნება"** აქ გამეორებულია დაძველებული, ათასჯერ „ნაცოხნი" კურიოზები („უზრდელი კაცი", „მარინეტის სილა")

მთელი რიგი პრინციპიალური ხასიათის შეცდომებია და ზოგან ფაქტების დამახინჯებაც **ს-ნის** წერილში („დავით კაკაბაძის გამოფენის გამო") მაგალ. დ. კაკაბაძის მხატვრობის დანათესავება მატისის, ვანდენ-გენის და დიუცის მხატვრობასთან, „ცისფერ ყანწელებზე" კონსტრუქტივიზმის შემოტანის ცდის მიწერა და სხვა.

დაბოლოს საინტერესოა **რ. კალაძის** წერილი **მ. გორკისა და ე. ნინოშვილის შესახებ.**

საინტერესოა ვ. ალექსი მესხიშვილის მოგონება ლადო მესხიშვილზე, საჭიროა ასეთი მემუარული ხასიათის ნაწერებს მეტი ყურადღება ექცეოდეს.

ჟურნალში არის სხვა წერილებიც, მათ შორის აღსანიშნავია **პ. ინგოროყვას** გამოკვლევა **„გრ. ორბელიანის ახალ აღმოჩენილ ნაწერების გამო"** მასში ბევრი სადაო ადგილებიცაა.

ჟურნალში მოთავსებულია ბიბლიოგრაფია და ქრონიკა.

ალ. სულავა.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

		გვ.
1.	**მოწინავე:**—კიდევ სწავლისა, შემოქმედებისა და თვით კრიტიკის შესახებ	1
2.	**კონსტანტინე ლორთქიფანიძე**—მუხის ტახტი	4
3.	**ელისბარ პოლუმორდვინოვი**—რკინის ძმები	12
4.	**კალე ბიბოხიძე**—ბოტანიკურ ბაღში	25
5.	**ფრიდონ ნაროუშვილი**—ყოფა-ცხოვრება საბჭოთა სოფელში (ლექსი მეორე)	26
6.	**სერგო ჯავშანიძე**—პირველი ტრაქტორი	28
7.	**შაქრო ნავთლუღელი**—ბაქოს მიდამო	41
8.	**შოთა მანაგაძე**—მუშათა ახალგაზრდობის თეატრის ამოცანები	43
9.	**შალვა რადიანი**—კალე ფეოდოსიშვილი	47

ბიბლიოგრაფია

1.	**ვ. ლუარსამიძე**—„პროლეტარული მწერლობა“	53
2.	**ალ. სულავა**—„ქართული მწერლობა“ № 6—7	56

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქცია ღიაა ყოველ დღე

გარდა სამშაბათისა და კვირისა

9 საათიდან 2 საათამდე.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ია. მაჩაბელის ქუჩა № 13.
სოლოჯნეშის სასახლე. ტელ. 24—51.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-3 სატამბა.

მთავარლიტი № 1791. შეკვ. № 2574. ტირაჟი—500.

Digitized by Google